ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 7 დეკემბერი, 1997 წელი.

№ 307 (2680)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ — 45 თეთრი.


## უკანასკნელ საათს

## „პატივი ეცით ახალგაზრდების თავგანწირვას!“

საქართველოს მოქალა-
ქეთა კავშირმა შემდეგი ში-
ნაარსის განცხადება გა-
აკეთა: „რამდენიმე დღეა,
საქართველოს მოსახლეობა
დაძაბული ადევნებს თვა-
ლყურს ახალგაზრდული
გაერთიანებების მიერ გა-
მართულ აქციას, რომელმაც
ლარსის ხეობაში გადაი-
ნაცვლა. შესაძლებელია,
პროტესტის ეს ფორმა
არცთუ საუკეთესოა, მაგრამ
ღრმად გვჯერა, რომ ყველა
ადამიანი გულის სიღრმეში
თანაუგრძნობს მათ და აღ-
ფრთოვანებულია ახალგა-
ზრდა მოქალაქეთა ასეთი
გადაწყვეტილებით. თუმცა
არსებობს „უჩემოდ ვით იმ-
ღერეთის“ დაუძლეველი სი-
ნდრომი. სწორედ ამის
შედეგია სხვადასხვა პო-
ლიტიკურ პარტიათა წე-
ვრების განცხადებები, რო-
მლებშიც ისინი ცდილობენ
ლაფში ამოსვარონ ახალ-
გაზრდების წმინდა პატ-
რიოტული გრძნობები. ეს
ვი ასე არ იქნებოდა, მათ
რომ იგივეს გაკეთების ძა-
ლა შესწევდეთ, რაც აქ-
ციის მონაწილე ახალგა-
ზრდებს. ამ ახალგაზრდე-
ბისადმი არაკეთილი გა-
ნწყობა მხოლოდ ბოლმის
და „მომავალ არჩევნებზე
რამდენი დაგვაკლდაო“ —
შიშის ნაყოფია.

არ გეკადრებათ! მითუ-
მეტეს, აქციაში მხოლოდ
სმაკის წარმომადგენლე-
ბი კი არა, სხვადასხვა უმა-
ღლესი სასწავლებლების
სტუდენტებიც მონაწილე-
ობენ.

ბატონებო, პატივი ეცით
ახალგაზრდების თავგან-
წირვას — ნათქვამია გა-
ნცხადებაში.

## პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

# მსოფლიო ბანკი სასამართლო სისტემის რეფორმირებაში მხარდაჭერას გვპირდება



საქართველოს პრეზიდენტთან მიღების დროს.

ბესიკ კევერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

სახელმწიფოში დემოკრატიისა
და თავისუფლების ერთ-ერთი უმ-
ნიშვნელოვანესი ატრიბუტის — და-
მოუკიდებელი სასამართლო სის-
ტემის ფუნქციონირებისათვის აუ-
ცილებელ ღონისძიებათა განხო-
რციელებაში დახმარებას გვპირ-
დება მსოფლიო ბანკი, რომლის ექ-
სპერტები, ორგანიზაციის უფრო-
სი მრჩევლის ფრიდრიხ პელომჩე-
კის ხელმძღვანელობით, 6 დეკე-
მბერს მიიღო საქართველოს პრე-
ზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ფრიდრიხ პელომჩეკმა საქართ-
ველოს სახელმწიფოს მეთაურს გა-
აცნო აღნიშნული საფინანსო ინ-
სტიტუტის მოსაზრებები ჩვენს ქვე-
ყანაში სასამართლო რეფორმის
წარმართვის თაობაზე. მრავალ-
მილიონიანი დახმარების პროგრა-
მა, რომლის განხორციელება გა-
ისად დაიწყება, ითვალისწინებს,
კერძოდ, მაღალკვალიფიციური მო-
სამართლეების მომზადების მხა-
რდაჭერას და ამ საკითხში დო-
ნორი ქვეყნების აქტიურ ჩართვას,
მოსახლეობის ფართო ინფორმი-
რებასა და განათლებას ზოგად
იურიდიულ და საკანონმდებლო
საკითხებში, იუსტიციის საბჭოს
ექსპერტთა მომზადებას, ასევე,
სასამართლოების შესაბამისი მა-
ტერიალურ-ტექნიკური ბაზის უზ-
რუნველყოფის საკითხის მოწე-
სრიგებას.

საქართველოს პრეზიდენტი მო-
წონებით შეხვდა მსოფლიო ბა-
ნკის საქმიან წინადადებებს, სტუ-
მრებს გააცნო სასამართლო სი-
სტემის რეფორმირების ზოგადი
ასპექტები. ედუარდ შევარდნა-
ძემ ყურადღება მიაპყრო რო-
გორც ამ რეფორმების საფუძვ-
ლიან განხორციელებაში მოსა-
მართლეთა პროფესიონალიზმის
ამაღლებასა და მატერიალური პი-
რობების გაუმჯობესების საკითხს,
ასევე, საქართველოს მოქალა-
ქეთა სრულყოფილ ინფორმირე-
ბას საკანონმდებლო სფეროში მი-
მდინარე პროცესების თაობაზე.
აღნიშნული ღონისძიებები, პრე-
ზიდენტის აზრით, ეფექტიან წან-
ამძღვრებს შექმნის ქვეყანაში კო-
რუფციასთან ბრძოლის თვალსა-
ზრისით.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

## პარლამენტი

## დეპუტატები — ქარხანაში

საქართველოს პარლამენტის თა-
ვმჯდომარის მოადგილე გიორგი
კობახიძე, ფრაქცია „სახალხო პა-
რტიის“ წევრები თენგიზ შარმა-
ნაშვილი, გურამ ჩახვაძე, გიორგი
ჭელიძე, ნაძალადევის რაიონის მა-
ჟორიტარი დეპუტატი მანუჩარ მა-
ჩაიძე სააქციო საზოგადოება „ელ-
მავალმშენებლის“ მუშა-მოსამსა-
ხურეებს შეხვდნენ. „ჩვენ პარლა-
მენტში ვერ ჩავიკეტებით, გვჭირ-
დება თქვენი თანადგომა, თქვენს
გასაჭირს პარლამენტამდე მივი-
ტანთ“, — მიმართეს ფრაქციის წე-
ვრებმა მოქალაქეებს.

გიორგი კობახიძემ, თავის გა-
მოსვლაში, წარმოადგინა ფრაქციის
პოლიტიკური ხედვა და აღნიშნა,
რომ მათი მუშაობის პრიორიტე-
ტული თემა მოქალაქეთა სოცია-
ლური უზრუნველყოფაა. განაცხადა,
რომ ხელისუფლებასთან ოპოზი-
ციაში დგომა მათი ახირება არ
არის, არამედ გამომდინარეობს
ობიექტური რეალობიდან. გიორგი
კობახიძემ წარმოადგინა
ფრაქციისეული ხედვა ზოგიერთი
კონკრეტული საკითხისა. განსაკუ-
თრებით აშფოთებთ აფხაზეთის
პრობლემა და მასთან დაკავშირე-
ბით პარლამენტის მიერ მიღებუ-
ლი დადგენილებების შეუსრულე-
ბლობა.

შეხვედრაზე გამომსვლელები შე-
ეხნენ იმ კონკრეტულ წინადადე-
ბებს, რომლებსაც პარლამენტის მო-
მავალ სხდომაზე გაიტანენ. კერძოდ,
შენიშვნებს ბიუჯეტთან მიმართე-
ბით, რეფორმაციასა და ქმედითი
ღონისძიებების განხორციელებას
ძალოვან სტრუქტურებში, „რათა
მზად ვიყოთ ნებისმიერი გართუ-
ლებისათვის, სადავო ტერიტორი-
ებთან დაკავშირებით“, რადგანაც
ფრაქციას მიაჩნია, რომ დღესდ-
ღეობით, ამ ტერიტორიებზე „ომს
ძინავს“. სწორედ, აქედან გამო-
მდინარე, აუცილებელია რუსეთის
მიმართ სწორი სახელმწიფოებრივი
პოლიტიკის განხორციელება.

ნაძალადევის რაიონის გამგეო-
ბაში „სახალხო ფრაქციის“ ინიცი-
ატივით მოეწყო შტაბი, სადაც მო-
ქალაქეებს თავისუფლად შეეძლე-
ბათ მისვლა და პირადად შეხვე-
დრა დეპუტატებთან საკუთარი
პრობლემების მოსაგვარებლად.

**ნანა სანებლიძე.**

პარლამენტის პრესსამსახური.

## მილოცვა

## თბილისის 47-ე საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს

გულითადად გილოცავთ თქვენი სახელოვანი სკოლის იუბილეს.
ამ სკოლას ბევრი რამ აქვს საამაყო — ისტორია, ტრადიციები
და, რაც მთავარია, ადამიანები, რომლებიც მის სათავეებთან იდგნენ,
ამ კედლებში მოღვაწეობდნენ, აქ აღიზარდნენ.

150 წლის ისტორია მარტო მდიდარ ტრადიციას არ ნიშნავს, ეს
უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, რომელსაც ყოველ დროში, ყო-
ველ პოლიტიკურ სისტემაში წარმატებით ართმევდა თავს თბი-
ლისის 47-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

კვლავაც წარმატებებს გისურვებთ თქვენს კეთილშობილურ სა-
ქმიანობაში.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საზღვარი

# სიტუაცია ლარსში დაძაბულია

„დაახლოებით პირველის ნა-
ხევრისთვის აქციის მონაწილე
ახალგაზრდები ისევ გაემართნენ
საქართველო-რუსეთის საზღვრი-
საკენ, შევიდნენ გვირაბში, სა-
დაც მათ გზა გადაუკეტა რუსე-
თის სპეციალური დანიშნულების
რაზმმა“, — იუწყება სააგენტო
„ელიზი-ნიუსის“ კორესპონდენტი
ლარსიდან. მისივე ინფორმაციით,
გვირაბის ბოლომდე გზა გადა-
კეტილი იყო ჯავშანტრანსპორ-
ტიორებით. ჯარისკაცები საბრ-
ძოლო ნაბიჯით დაიძრნენ დე-
მონსტრანტებისაკენ. შეიქმნა და-
ძაბული სიტუაცია. ახალგაზრდე-
ბმა შეძლეს სულიერი
წონასწორობის შენარჩუნება და
არ აჰყვნენ პროვოკაციას.

რუსი სამხედროები ცდილობენ,
გაავრცელონ ინფორმაცია, თი-
თქოს ქართველები ჩრდილოეთ
ოსეთის საზღვრისაკენ მიიწევენ.
დაუზუსტებელი მონაცემებით,
გვირაბს იქით ოსი ეროვნების
ასამდე ახალგაზრდა დგას. ქა-
რთველმა დემონსტრანტებმა
უკვე მიმართეს ოს ახალგაზრ-
დებს, რომ ქართველები მხოლოდ
საკუთარი საზღვრის აღდგენას
მოითხოვენ.

ახალგაზრდები მოითხოვენ სა-
ქართველოს სასაზღვრო ჯარე-
ბის ხელმძღვანელისა და საქა-
რთველოს თავდაცვის მინისტრის
ადგილზე ჩასვლას. მანამდე რუს
სამხედროებს შესთავაზეს, ორი-
ვე მხარის უკან დახევა.

ქართულმა მხარემ უკან და-
იხია, რუსები კი კვლავ გვირაბს-
აქეთა ტერიტორიაზე დგანან.

გუშინ, 18 საათზე ლარსში გა-
ემგზავრა სახელმწიფო საზღვრის
დეპარტამენტის თავმჯდომარე
ვალერი ჩხეიძე. ვარდიკო ნად-
იბაიძე ავად არის. მას მოსკოვში,
პოსპიტალში მკურნალობენ.



# ერთიანი, სტაბილური სივრცე

## საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის გამოსვლა ევროპის კავშირის პროგრამა ინოგატის მე-4 კონფერენციაზე

„პატივცემულო თავმჯდომარევ,
ბატონებო,

დღეს, საქართველო, ისევე როგორც ყველა ახალი დამოუკიდე-
ბელი სახელმწიფო, თავისი განვითარების გზის დასაწყისშია. მა-
გრამ მოკლე ისტორიულ პერიოდში უკვე მოხდა ის, რისი დაჯე-
რებაც სულ ცოტა ხნის წინათ ძნელი იქნებოდა — ჩვენი ქვეყანა
ღირსეულ ადგილს იკავებს მსო-
ფლიო გაერთიანებაში და თან-
დათანობით მისი განუყოფელი
შემადგენელი ნაწილი ხდება.

იხ. მე-2 გვ.

კონტაქტები

# ერთიანი, სტაბილური სივრცე

## საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის გამოსვლა ევროპის კავშირის პროგრამა ინოგატის მე-4 კონფერენციაზე

დღევანდელი გარდამავალი ეტაპის დამახასიათებელ ნიშანს – ისევე, როგორც ყველა დამოუკიდებელი ქვეყნისათვის, იმ უპირატესობათა ძიება და რეალიზაცია წარმოადგენს, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით განვითარების პროცესის წინსვლის შეუქცევადობა და სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა უნდა უზრუნველყონ. სამხრეთ კავკასიისათვის და, კერძოდ, საქართველოსათვის ასეთ უპირატესობას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და შავ ზღვაზე გაუყინავი ნავსადგურების არსებობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის განვითარების იდეა, რომლის ერთ-ერთი რგოლი საქართველოც არის, თავიდანვე იყო იმ ფილოსოფიის მნიშვნელოვანი ელემენტი, ჩვენი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრას რომ უდევს საფუძვლად.

კავკასიაში სატრანსპორტო დერეფნის იდეამ ააღორძინა რეგიონის ისტორიული მისია, რომელიც აღმოსავლეთის დასავლეთთან და ჩრდილოეთის სამხრეთთან დაკავშირებას გულისხმობდა. სწორედ ამ გეოგრაფიულ გზაჯვარედინზე გადიოდა წარსულში „დიდი აბრეშუმის გზა". სამხრეთ კავკასია ბუნებრივი და ყველაზე ეკონომიური დერეფანია შავი და ხმელთაშუა ზღვების გასაღების ბაზრებზე კასპიის რეგიონის უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებისათვის, ისევე როგორც უმოკლესი გზაა შავი ზღვის გავლით ცენტრალურ აზიასა და მის მიღმა ტვირთების ტრანზიტისათვის.

კავკასიის დერეფნის იდეის ყველაზე ხელშესახები განხორციელება „ტრასეკის" პროექტია, რომელიც საერთო სატრანსპორტო სისტემაში აერთიანებს შავი ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს. ყოველივე სხვასთან ერთად, იგი ფართო რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის უნიკალურ შესაძლებლობებსაც სახავს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ „აბრეშუმის გზის" აღორძინების მიზნით იაპონიის მთავრობამ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, ხოლო ჩინეთი სულ უფრო აქტიურად ეძებს გასასვლელს ცენტრალურ აზიასა და აქეთ, ჩვენსკენ – კავკასიისაკენ, ნათელი გახდება დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ორმხრივი პროცესის არსებობა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენი რეგიონის უნიკალურ გეოგრაფიულ მდებარეობას. აღნიშნული უპირატესობის გამოყენების მიზნით შარშან ქალაქ სარახსში საქართველომ, აზერბაიჯანმა, უზბეკეთმა და თურქმენეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სატრანსპორტო გადაზიდვაში თანამშრომლობის შესახებ. ამგვარი თანამშრომლობის აშკარა სარგებლიანობამ სარახსის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების შემადგენლობის სწრაფი გაფართოება განაპირობა.

სადღეისოდ კი დღის წესრიგში უკვე დგება საკითხი „ტრასეკის" ყველა ქვეყანაზე თანამშრომლობის რეჟიმის გავრცელების შესახებ. ამ შემთხვევაში „ტრასეკის" პროგრამა შეიძენდა მრავალმხრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ბაზას. როგორც ცნობილია, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა გამოთქვეს ერთობლივი ინიციატივა ფორუმის მოწვევის თაობაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „ტრასეკის" მონაწილე ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირები, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მხარე „ტრასეკის" ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის საკითხის განხილვის მიზნით. ევროპის გაერთიანება მხარს უჭერს ამ ინიციატივას და გამოთქვამს იმედს, რომ მას გაიზიარებს „ტრასეკის" მონაწილე ყველა ქვეყანა.

კავკასიის დერეფანი კასპიის რეგიონის ნახშირწყალბადიანი ნედლეულის უმდიდრესი მარაგის ტრანზიტის უმნიშვნელოვანესი გზაჯვარედინი ხდება. ნავთობსადენების ქსელის განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება გაზსადენების მშენებლობასაც, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება ცენტრალური აზიიდან დასავლეთისაკენ ბუნებრივი გაზის მარაგის ტრანსპორტირება. ამასთან დაკავშირებით, მსურს ხაზი გავუსვა ევროპის საბჭოს განსაკუთრებულ როლს, რომელმაც დასახული ამოცანების განხორციელებისათვის შექმნა „ინოგატის" პროგრამა და ამჟამად აფინანსებს ტრანსკასპიის ნავთობსადენთა გაყვანისა და როგორც კავკასიაში, ისე ცენტრალურ აზიაში არსებული გაზსადენების მდგომარეობის განსაზღვრისათვის მიმდინარე გამოკვლევებს. დასავლეთის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების პროექტის განხორციელება ფაქტობრივად დაასრულებს ჩვენი რეგიონის გადაქცევას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძირითად დამაკავშირებელ სატრანსპორტო რგოლად.

ახლა საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აზერბაიჯანის „ადრეული" ნავთობის ტრანსპორტირების „დასავლეთის" მარშრუტი დაგეგმილ ვადებში ამოქმედდეს. საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პირველი ნავთობის მოპოვების დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიმდინარე წლის 12 ნოემბერს გაიმართა ქალაქ ბაქოში, განაცხადა, რომ თუ მიიღებენ გადაწყვეტილებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი ნავთობის ნაწილის ტრანზიტული ტრანსპორტირების შესახებ, „ადრეული" ნავთობის ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტის მსგავსად, ამ პროექტსაც ექნება მთავრობისა და პრეზიდენტის სრული მხარდაჭერა და ყველა გარანტია მათი მხრიდან. ითქვა ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტი ხმელთაშუა ზღვის ბაზრებზე კომერციულად ყველაზე გამართლებული და ტექნიკურად სავსებით განხორციელებადია.

ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები, გარკვეული მიზეზების გამო, დღეს ცხოველ ინტერესს იწვევს. თუმცა, ზოგჯერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წყალობით, არაჯანსაღი მეტოქეობის სულისკვეთება მკვიდრდება. საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია ამ საკითხის მიმართ ასეთია: ნახშირწყალბადიანი ნედლეულის ტრანსპორტირებას მივიჩნევთ არა რეგიონის ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის გამთიშველ ფაქტორად, არამედ, პირიქით, პარტნიორობის საგნად, რომელმაც შეიძლება და კიდევაც უნდა მოუტანოს რეგიონს მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა. მიგვაჩნია, რომ მილსადენები ხელს უნდა უწყობდეს მშვიდობიანი პროცესების განვითარებასა და სტაბილურობის დამყარებას.

როცა საქმე „ადრეულ" ნავთობს ეხებოდა და მიიღეს გადაწყვეტილება „ჩრდილოეთისა" და „დასავლეთის" მარშრუტებით მისი ტრანსპორტირების შესახებ, ამან ხელი შეუწყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გაწონასწორებას რეგიონში. ეს გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ „დიდი" ნავთობსადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროსაც. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებსა და პრინციპებს, რომლებიც საჭიროა გეოპოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ეკონომიკურად მომგებიანობას, ერთ-ერთი დიდი ალტერნატიული ნავთობსადენი, საბოლოო ანგარიშით აუცილებლად წავა ჯეიჰანის მიმართულებით. ჩვენი აზრით, მაქსიმალური რეგიონული თანამშრომლობის გარეშე ამ სისტემის განვითარება წარმოუდგენელია და ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფნის გამოყენება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელად და ტექნიკური თვალსაზრისით სავსებით განხორციელებად საქმედ მიგვაჩნია.

„ტრასეკის" პროექტის განხორციელება ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, „დიდი აბრეშუმის გზის" და მილსადენის ტრანსპორტის ქსელის განვითარება ჩვენი რეგიონის ერთიან, ინტეგრირებულ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილურ სივრცედ გადაქცევის წანამძღვრებს ქმნის. 21-ე საუკუნისათვის კავკასია მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების ნიმუში უნდა გახდეს. ასეთია დროის იმპერატივი, ასეთია მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან ჩვენი რეგიონის მიმართ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დაკვეთა. დარწმუნებული ვარ, რომ გაერთიანებული ძალისხმევით ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური-საქინფორმი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

## მორიგი სხდომა

გუშინ გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

დაწვრილებით – მორიგ ნომერში.

## იუბილარ სკოლაში

5 დეკემბერს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ თბილისის 47-ე საშუალო სკოლის 150-ე წლისთავი აღნიშნა.

ამ სკოლაში იღწოდნენ დიდი მამულიშვილები: ანდრია რაზმაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ლევან ღოღობერიძე, ზაქარია ჩხიკვაძე, აკაკი ფალავა, ელენე მაყაშვილი და სხვები.

47-ე სკოლის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ რამდენიმე თაობის წარმომადგენლები, სახელმწიფო კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები. დამსწრეთ მიმართეს საქართველოს განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა ნუგზარ ყენიამ. დარბაზში შეკრებილნი დალოცა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, რომელმაც დამსწრეთ სასიხარულო ამბავი აცნობა: საქართველოს საპატრიარქო თანახმაა სკოლას დაუბრუნდეს წმინდა ნინოს სახელი.

## აზიის დონორი ქვეყნები დაინტერესდნენ საქართველოთი

საქართველომ სერიოზული ნაბიჯი გადადგა აზიის რეგიონის დონორ ქვეყნებთან პარტნიორობის გზაზე, განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში ჟურნალისტებთან შეხვედრისას მსოფლიო ბანკისა და საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პროექტის კოორდინატორმა გიგი მაღლაკელიძემ. ამას გადამწყვეტწილად ხელს უწყობს საქართველოს სწორი საგარეო პოლიტიკა და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საყოველთაო ავტორიტეტი.

ჰანოიში გამართულ დონორი ქვეყნების თათბირ-სემინარზე, რომელშიც საქართველოც მონაწილეობდა, შეხვედრის მონაწილენი დიდი ინტერესით გაეცნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, დღევანდელ მდგომარეობას. მათ განსაკუთრებით ხიბლავთ საქართველოს, როგორც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ნაწილის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.

## ნავთი გაიაფდება

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა კომპანია „საქნავთობპროდუქტის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ კიკნაძემ, მალე კომპანია საქართველოში შემოიტანს 2 ათას ტონა ნავთს, რომელიც მოსახლეობაში გაიყიდება. მან აღნიშნა, რომ საწვავის სახელმწიფო შემოტანა საგრძნობლად შეამცირებს ნავთის საბაზრო ფასებს.

კიკნაძემ დასძინა, აგრეთვე, რომ სადღეისოდ 100 ათასი ტონა მაზუთიდან, რომლის შეძენის უფლება კომპანიამ აზერბაიჯანში მიიღო, მხოლოდ 20 ათასი ტონის შესაძენად მოხერხდა სახსრების გამონახვა. მათ შემოტანას ახორციელებს საქართველო-კორეის კომპანია „ხანვა ჯორჯია".

## ახალი „მანილოვშჩინა"

რუსეთის სასაზღვრო სამსახურის დირექტორის მოადგილემ მანილოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთიდან ციტრუსებისა და სხვა სახის პროდუქციის გატანა წინასწარ იყო შეთანხმებული საქართველოს ხელისუფლებასთან. მისივე თქმით, აფხაზეთიდან პროდუქციის გატანა 1998 წლის მარტის თვემდე იმავე მოცულობით განხორციელდება, როგორც ეს რუსეთის ხელმძღვანელობამ განსაზღვრა. აღნიშნულ აქციას მანილოვმა ჰუმანიტარული დახმარება უწოდა აფხაზი ხალხისათვის, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იმყოფება.

## ვინ თქვა, ლუდი არ გვივარგა?!

როგორც ჩანს, ქართული ლუდის შესახებ ჩვენი შეხედულება კარდინალურად უმჯობესდება. წელს გაზფხულში ესპანეთში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო სადეგუსტაციო გამოფენაზე ქართული ლუდი „შატილი" ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. ახლახან სანქტ-პეტერბურგში დამთავრებულ ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ბაზრობაზე კი ქართულმარკიანმა ლუდმა „ანანურმა" და „ყაზბეგმა" შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის ჯილდოები დაიმსახურეს. იმავე გამოფენაზე დამსახურებული წარმატება მოიპოვა საქართველოსა და ორი საზღვარგარეთული კომპანიის მიერ ჩამოსხმულმა მინერალურმა წყალმა „ბორჯომმა".

## პოლიტიკაში უფრო საჭირო ვარ!

4 დეკემბერს სოხუმში აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დაისვა საკითხი ვლადისლავ არძინბას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევის შესახებ. არძინბამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი ამჟამად, აფხაზეთის პოლიტიკას უფრო გამოადგება, ვიდრე მეცნიერებას.

## ერთი წავა და სხვა მოვა

თვითმხილველთა მტკიცებით, აფხაზეთში, 1 ნოემბრიდან დაწყებულ პრივატიზაციასთან დაკავშირებით, შეიმჩნევა რუსეთის ფედერაციაში, სტავროპოლისა და ყუბანის მხარეში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოსახლეობის მოძალება. ისინი იძენენ კერძო სახლებს აფხაზეთის ყველა რაიონში, გალის რაიონის გარდა.

## მტერი იყოს „საიმედოს" იმედად!

5 დეკემბერს, დილის 5 საათზე, დაუდგენელმა პირებმა ფანჯრის მინის ჩამტვრევით, მარჯანიშვილის ქუჩა №7-ში მდებარე ცენტრალური უნივერმაღის მეორე სართულზე, შპს „ოქროს საწმისის" სექციაში შეაღწიეს, მათ სეიფიდან 15 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ოქროს ნაკეთობები მოიპარეს.

როგორც „იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს შსს პრესცენტრიდან აცნობეს, აღნიშნული უნივერმაღის შენობა დღე-ღამის განმავლობაში კერძო ფირმა „საიმედოს" დაცვის ქვეშ იმყოფება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ", „ბიამ", „მოამბე-ექს-პრესმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კანონი

## „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., № 7, მუხ. 485) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“, სიტყვები „შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის“ – სიტყვებით „სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების“, ხოლო სიტყვები „შრომის სახელმწიფო ბირჟა“ – სიტყვებით „დასაქმების სამსახური“.

2. პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში სიტყვები „სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან“ შეიცვალოს სიტყვებით „აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან“.

3. მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დასაქმების ცნება და ფორმები

1. დასაქმება არის მოქალაქის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მის პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და, როგორც წესი, მოაქვს მისთვის შრომითი შემოსავალი (შემდგომში – ანაზღაურება).

2. მოქალაქის დაუსაქმებლობა არ შეიძლება გახდეს მისი ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობის საფუძველი. იძულებითი შრომა დაუშვებელია, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. ანაზღაურებადი არარეგისტრირებული შრომითი საქმიანობა აკრძალულია.

4. დასაქმებულად ითვლება:

ა) შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე სრული ან არასრული სამუშაო დროით მომუშავე, მათ შორის, ისიც, ვინც ასრულებს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს (სამსახურს) (სეზონური, დროებითი სამუშაოების ჩათვლით);

ბ) სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით (ნარდობის ხელშეკრულებით) მომუშავე, მათ შორის, ხელშეკრულებით პროდუქციის რეალიზატორი;

გ) მოქალაქე, რომელიც დროებით არ ასრულებს სამუშაოს დროებითი შრომისუუნარობის, შვებულებაში ყოფნის, სასწავლებლად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინების, გაფიცვის, წარმოების დროებით შეჩერების გამო;

დ) მოქალაქე, რომელიც გადის სამხედრო სამსახურს;

ე) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ანაზღაურებად თანამდებობაზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული მოქალაქე;

ვ) საქართველოში ან საზღვარგარეთ ერთობლივ ან უცხო ქვეყნის წარმოება-დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ანაზღაურებად სამუშაოზე მყოფი მოქალაქე;

ზ) მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად უზრუნველყოფს თავს სამუშაოთი და აქვს შემოსავალი ამ საქმიანობიდან;

თ) სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული მოქალაქე;

ი) 1 ჰექტარი ან მეტი მიწის ფართობის მესაკუთრე.

მუხლი 3. უმუშევარი

1. უმუშევრად ითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი მოქალაქე, რომელსაც არა აქვს სამუშაო და შესაბამისად – ანაზღაურება (შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით იმ კომპენსაციის გარდა, რომელიც მოქალაქეს უნარჩუნდება ორგანიზაციის ლიკვიდაციის, ან მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების გამო) და რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში შესაფერისი სამუშაოს მოსაძებნად, ეძებს სამუშაოს და მზად არის შეუდგეს მის შესრულებას.

2. კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო ასაკის მოქალაქე, რომელიც სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ან პროფესიული (მათ შორის, უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი) სასწავლებლის დასწრებული სწავლების განყოფილებაზე, უმუშევრად არ ჩაითვლება.

3. მოქალაქეს, რომელსაც დადგენილი წესით არ შეიძლება მიენიჭოს უმუშევრის სტატუსი, უფლება აქვს აღრიცხვაზე დადგეს დასაქმების სამსახურში, როგორც სამუშაოს მაძიებელი.

4. უმუშევართა რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 4. შესაფერისი სამუშაო

1. უმუშევრად რეგისტრირებული მოქალაქისათვის, რომელიც სამუშაოდან განთავისუფლდა და არა აქვს ხელფასი, შესაფერისად ჩაითვლება ის სამუშაო, მათ შორის, დროებითიც, რომელიც მის პროფესიულ მომზადებას, ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, შრომის სტაჟს შეესაბამება და მოსახერხებელია სატრანსპორტო თვალსაზრისით.

2. თუ დასაქმების სამსახურმა უმუშევარს ვერ გამოუნახა შესაფერისი სამუშაო, მას უფლება აქვს სურვილისამებრ აირჩიოს სამუშაო, რომელიც საჭიროებს პროფესიის (სპეციალობის) შეცვლას, ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შრომის სტაჟის და შრომის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. შესაფერისად ჩაითვლება ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, მათ შორის, დროებითიც, რომელიც საჭიროებს ან არ საჭიროებს წინასწარ მომზადებას მოქალაქისათვის, რომელიც:

ა) პირველად ეძებს სამუშაოს და არა აქვს პროფესია (სპეციალობა);

ბ) უარს აცხადებს თავისი პროფესიით (სპეციალობით) აიმაღლოს კვალიფიკაცია, მიიღოს მომიჯნავე პროფესია (სპეციალობა) ან გაიაროს გადამზადება 6 თვის უმუშევრობის გასვლის შემდეგ;

გ) დასაქმების სამსახურში აღრიცხვაზე იმყოფება არანაკლებ 12 თვის განმავლობაში და 3 წლის განმავლობაში არ უმუშავია;

დ) სეზონური სამუშაოების დამთავრების შემდეგ მიმართავს დასაქმების სამსახურს.

4. სამუშაო შესაფერისად არ ჩაითვლება, თუ:

ა) იგი დაკავშირებულია მოქალაქის თანხმობის გარეშე მისი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან;

ბ) შრომის პირობები არ შეესაბამება შრომის დაცვის წესებსა და ნორმებს;

გ) შეთავაზებული ანაზღაურება ნაკლებია მოქალაქის უკანასკნელ სამუშაო ადგილზე ბოლო 3 თვის საშუალო ხელფასზე“.

4. მე-6 მუხლის ბოლო აბზაცი ამოღებულ იქნეს.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის $9^1$ მუხლი:

„მუხლი $9^1$. დასაქმების კერძო სამსახურების საქმიანობის ლიცენზირების წესი

დასაქმების კერძო სამსახურების საქმიანობა, რომლებიც მოქალაქის სამუშაოზე მოწყობის (მათ შორის, საზღვარგარეთ) ფასიან მომსახურებას ეწევიან, დასაშვებია საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე“.

6. მე-11 მუხლის სათაურიდან და ტექსტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სახელმწიფო“.

7. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. დასაქმების სახელმწიფო რეგულირება

დასაქმების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო“.

8. მე-13 მუხლი ამოღებულ იქნეს.

9. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. დამსაქმებლის მოვალეობანი

დამსაქმებელი, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ვალდებულია ხელი შეუწყოს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, რისთვისაც:

ა) იცავს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) იმ პირობებს, რომლებიც საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებს შრომით ურთიერთობებს;

ბ) ქმნის სათანადო პირობებს მუშაკთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

გ) კანონით დადგენილი ოდენობით და განსაზღვრული წესით, რეგულარულად რიცხავს შესაბამის სახსრებს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე;

დ) დადგენილ ვადაში წარუდგენს დასაქმების სამსახურს ინფორმაციას თავისუფალი სამუშაო ადგილებისა (თანამდებობებისა) და მუშაკთა მოსალოდნელი გამონთავისუფლების შესახებ, მათი რაოდენობის, პროფესიის (სპეციალობის) და გამონთავისუფლების ვადის ჩვენებით, დადგენილი სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით;

ე) ვალდებულია იზრუნოს შრომის ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიანი პირების პროფესიულ მომზადებაზე, გადამზადებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა და დასაქმებაზე, დადგენილი კვოტების ფარგლებში“.

10. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის $14^1$ მუხლი:

„მუხლი $14^1$. პროფესიული კავშირების, პროფესიული კავშირების გაერთიანებების (ასოციაციების) მონაწილეობა მოსახლეობის დასაქმების სფეროში

პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) მონაწილეობენ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკისა და საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამონთავისუფლებულ მუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემუშავებაში „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

11. მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი

1. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი არის სპეციალური სახელმწიფო ფონდი, რომლის მიზანია მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დაფინანსება.

2. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბიუჯეტი მტკიცდება საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 16. უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება

1. უმუშევრის პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას დასაქმების სამსახური ახორციელებს, თუ:

ა) დასაქმების სამსახურმა უმუშევარს 3 თვის განმავლობაში ვერ შეურჩია შესაფერისი სამუშაო იმის გამო, რომ მას არა აქვს არსებული ვაკანსიების შესაბამისი პროფესია (სპეციალობა) და კვალიფიკაცია;

ბ) დასაქმების სამსახური ვერ სთავაზობს უმუშევარს შესაფერის სამუშაოს და საჭირო ხდება მის მიერ პროფესიის (სპეციალობის) შეცვლა;

გ) უმუშევარმა დაკარგა თავისი აღრინდელი პროფესიით (სპეციალობით) საქმიანობის უნარი;

დ) უმუშევარმა გამოთქვა პროფესიის (სპეციალობის) შეცვლის სურვილი.

2. უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის, ასევე პროფესიული განათლების, მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებსა და მომზადება-გადამზადების სხვა სასწავლო დაწესებულებებში, როგორც დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, ისე სხვა დაინტერესებული საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯზე.

მუხლი 17. დროებითი საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება

1. მოსახლეობის დროებით დასაქმების მიზნით სახელმწიფო განსაზღვრავს და აფინანსებს ანაზღაურებად საზოგადოებრივ სამუშაოებს (ქალაქის ან რაიონის კეთილმოწყობა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება და სხვა).

2. დროებითი საზოგადოებრივი სამუშაოს ორგანიზება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და დასაქმების სამსახურის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. დროებით საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებული მოქალაქე მუშაობის პერიოდში არ ღებულობს შემწეობას უმუშევრობისათვის.

მუხლი 18. უმუშევრის მატერიალური მხარდაჭერის გარანტიები

1. უმუშევარს სახელმწიფოსაგან გარანტირებული აქვს:

ა) უმუშევრობისათვის შემწეობის მიღება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) უმუშევრობისათვის შემწეობის შენარჩუნება პროფესიული განათლების, მომზადებისა და გადამზადების პერიოდში.

2. ამ ხნის განმავლობაში უმუშევარს უნარჩუნდება უწყვეტი შრომის სტაჟი“.

12. მე-19, მე-20 მუხლები ამოღებულ იქნეს, ხოლო 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. უმუშევრისათვის შემწეობის დანიშვნის პირობები

1. უმუშევარს, რომელსაც აქვს ბოლო 2 წლის განმავლობაში არანაკლებ 6 თვის ანაზღაურებადი მუშაობის

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკა
№307, კვირა, 7 დეკემბერი, 1997 წელი

# საქართველოს კანონი

## „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საერთო სტაჟი, რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში და ეს სამსახური რეგისტრაციის დღიდან 10 დღის განმავლობაში ვერ სთავაზობს მას შესაფერის სამუშაოს ან ვერ უქმნის გადამზადების შესაძლებლობას, ენიშნება შემწეობა რეგისტრირების დღიდან 6 თვის განმავლობაში.

2. შემწეობა გაიცემა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან.

3. შემწეობა არ დაენიშნება:

ა) კანონმდებლობით დადგენილ სამუშაო ასაკზე ახალგაზრდა და უხნეს მოქალაქეებს;

ბ) სოფლად მცხოვრებ მოქალაქეს, თუ მის ან მისი ოჯახის წევრის სახელზე სოფლად ირიცხება მიწის ნაკვეთი კანონით დაწესებული ნორმის ფარგლებში;

გ) მოქალაქეს, რომელიც იღებს პენსიას ან სხვა დახმარებას.

4. შემწეობის დადგენისა და გაცემის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით“.

13. 22-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

14. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. უმუშევრისათვის შემწეობის გაცემის შეწყვეტა ან შეჩერება

1. უმუშევრისათვის შემწეობის გაცემა შეწყდება, თუ:

ა) დამთავრდა შემწეობის გაცემის ვადა;

ბ) დასაქმდა;

გ) დაენიშნა პენსია;

დ) შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და არ დადგა აღრიცხვაზე;

ე) უარი განაცხადა შეთავაზებულ შესაფერის სამუშაოზე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების შემდეგ, სადაც გაგზავნილი იყო დასაქმების სამსახურის მიერ;

ვ) დაარღვია შემწეობის გაცემის წესითა და პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ზ) აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და ამის შესახებ არ შეატყობინა დასაქმების სამსახურს;

თ) შემწეობის მიღების პერიოდში იშოვა მუდმივი ან დროებითი სამუშაო და ამის შესახებ არ შეატყობინა დასაქმების სამსახურს;

ი) იღებს სხვა დახმარებას;

კ) შეეცადა უკანონოდ მიეღო ან მიიღო შემწეობა.

2. შემწეობის გაცემა 3 თვემდე ვადით შეჩერდება, თუ უმუშევარი:

ა) უარს განაცხადებს მისთვის შეთავაზებულ ორ შესაფერის სამუშაოზე მაინც;

ბ) განთავისუფლდა სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო ან საკუთარი ინიციატივით საპატიო მიზეზის გარეშე;

გ) დასაქმების სამსახურის მიერ გაგზავნილი იყო პროფესიული მომზადებისა და გადამზადებისათვის და თვითნებურად შეწყვიტა იგი.

3. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უმუშევრისათვის შემწეობის გაცემა შეჩერებული იყო, ჩაითვლება შემწეობის გაცემის საერთო პერიოდში, მაგრამ არ ჩაითვლება შრომის უწყვეტ სტაჟში.

4. უმუშევრისათვის შემწეობის გაცემის შეჩერების ან შეწყვეტის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

15. 24-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

16. 25-ე მუხლში სიტყვები „ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი“ შეიცვალოს სიტყვებით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის“.

17. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

ამ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

18. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ისინი დაინომრონ თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

II. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ბ) დებულება დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ;

გ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება უმუშევართა რეგისტრაციის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ;

დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება უმუშევართათვის შემწეობის დადგენისა და გაცემის შესახებ;

ე) საქართველოში არსებული სპეციალობებისა და პროფესიების ნუსხა.

III. საქართველოს მოსახლეობის უმუშევრობის სავალდებულო დაზღვევის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები განისაზღვრება კანონის საფუძველზე.

IV. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1997 წლის 12 ნოემბერი.

დასასრული. დასაწყისი იხ. მე-3 გვ.

პარლამენტი

# შარაძე და ალექსიძე, „ალია“ და „ალიონი“

საქართველოს პრეზიდენტის ორი მრჩევლის, გურამ მამულიას („თურქ-მესხების“ საკითხში) და ლევან ალექსიძის (აფხაზეთის საკითხებში) „კაგებეს“ აგენტობაში დადანაშაულებამ, რაც, ფაქტობრივად, გაზეთ „ალიას“ 20-21 ნოემბრის პუბლიკაციით გახმაურდა, შესაბამისი რეზონანსი ვერ ჰპოვა. აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ამ სენსაციურ ბრალდებას გამოხმაურება არ მოჰყოლია. ამის თაობაზე პარლამენტის წევრმა გურამ შარაძემ პლენარულ სხდომაზე გაკვირვება გამოთქვა და უშიშროების მინისტრს ჯემალ გახოკიძეს ინფორმაციის დაზუსტებაც მოსთხოვა.

მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის გურამ შარაძის გამართული პრესკონფერენცია კი ტელევიზიო პროგრამა „ალიონში“ ლევან ალექსიძის სტუმრობის „საპასუხო სვლა“ იყო.

დეპუტატის მტკიცებით, „ალიონში“ ლარსის საზღვრის თაობაზე სასაუბროდ მიწვეულმა ლევან ალექსიძემ, გურამ შარაძის პიროვნებაზე ლაპარაკს ლამის ორჯერ მეტი დრო დაუთმო. თავის მხრივ, გურამ შარაძის პრესკონფერენციაც საკმაოდ ხანგრძლივი იყო. დეპუტატმა ამ „პატარა“ სკანდალის თაობაზე დამსწრეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციები გაგვ[illegible]ა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, „ჯამუშად შერაცხული“ ლევან ალექსიძის განცხადებების საჩვენებელ-გასაქარწყლებლად. მართალია, კომიტეტის თავმჯდომარემ დაადასტურა „ალიაში“ გამოქვეყნებული „აგენტების“ ანკეტური მონაცემების სისწორე, მაგრამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მრჩევლებს ჯაშუშობაში ბრალს იგი არ სდებს და პრეტენზიები, ალბათ, პუბლიკაციის ავტორს უნდა წაუყენონ. იგი კი მხოლოდ ინფორმაციის დადასტურებას, ან გაქარწყლებას მოითხოვს, რათა აღმასრულებელი ხელისუფლების ორი თვალსაჩინო წარმომადგენლის მსგავსად არასახარბიელო მდგომარეობაში შემდგომ სხვებიც არ აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება მესხეთელი თურქების რეპატრიაციას, „ალიონის“ სტუმრის თქმით, ეს საკითხი გურამ შარაძეს „აუტორებია“, თავის მხრივ გურამ შარაძე „აუტორად“ აღმასრულებელ ხელისუფლებას და, კერძოდ, გურამ მამულიას ასახელებს, რომელსაც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ჯონი ხეცურიანის გვერდის ავლით, უნებართვოდ შეუყვანია „მესხების“ პრობლემების გადამჭრელ კომისიაში სამი დეპუტატი, მათ შორის, გურამ შარაძეც. კომიტეტის თავმჯდომარე მესხეთელი თურქების ჩამოსახლებას გამართლებულად არ თვლის, მისი არგუმენტაციით, 1944 წელს გადასახლებული 300.000 კაციდან მხოლოდ 10 პროცენტი იქნება დარჩენილი. გარდა ამისა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ჩვენ რეპატრიაციის ვალდებულება არცა გვაქვს, იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძეს ბიშკეკის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია.

**ლელა მჭედლიძე.**
„სრ“ საპარლამენტო კორ.

ცხინვალი

# ჩვენ სწორ გზას ვადგავართ, – ამბობს ლუდვიგ ჩიბიროვი

უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი ჯავაში 14 ნოემბრის შეხვედრის შესახებ ანგარიშით წარსდგა ჯერ ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სესიაზე, შემდეგ კი სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულების, საზოგადოებრიობის წინაშე.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ცხინვალელ პედაგოგებთან შედგა.

– ედუარდ შევარდნაძე არა მარტო ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატია, არამედ დიალოგის დიდოსტატიც, რომელიც ფლობს ხელოვნებას თავისადმი კეთილად განაწყოს მოსაუბრე, მოიგოს მისი გული, გამოიწვიოს გულახდილ საუბარში, მასთან საუბარი საინტერესოა, – თქვა ამ შეხვედრაზე ჩიბიროვმა. შემდეგ გაიხსენა 1989 წლის ნოემბერი, როცა ცხინვალიდან გამსახურდიას ეწვიენენ ქართველი და ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რათა მისთვის და სხვა მისი თანამოაზრეებისთვის გადაეფიქრებინებინათ 23 ნოემბრის აქცია ცხინვალში. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით და მას მოჰყვა შავი ფურცლები ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიაშიო, – აღნიშნა მან. 14 ნოემბრის შეხვედრას კი უწოდა მნიშვნელოვანი საეტაპო მოვლენა ოსეთის უახლეს ისტორიაში. დამსწრეთ დამარწმუნებლად მოუთხრო, თუ რა გაგებით ეკიდება შევარდნაძე მათს პრობლემებს. იგი ცხადია, თავისი ერის ინტერესებს იცავს, – განაგრძო ჩიბიროვმა, – მაგრამ ძალზე დაინტერესებულია პრობლემების დროულად მოგვარებით; ბევრს აკეთებს, რომ პროცესი მშვიდობიანად მოწესრიგდეს. ამ კურსის ალტერნატივა არ არსებობს და ჩვენც მას მივყვებით. ყველა ჩვენგანმა ნახა, რაც ომმა მოგვიტანა. როცა სისხლი იღვრება, პრობლემების იოლად გადაჭრა აღარ ხერხდება, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შემდგომში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

ისაუბრა რა ლტოლვილთა პრობლემებზე, ჩიბიროვმა ხაზი გაუსვა, რომ ცხინვალში ამ წლების მანძილზე არცერთი მიტოვებული ქართველის სახლი არ გაუფორმებიათ ოსზე. 1998 წელი ლტოლვილთა დაბრუნების წელი იქნება და ამ პროცესს მოაწესრიგებს ქართულ-ოსური კომისია, რომელიც მალე შეიქმნება. ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებას, ამასვე დაგვპირდა თავის მხრივ შევარდნაძეც. ლტოლვილები 5 წლის მანძილზე გათავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისგან, დავეხმარებით საცხოვრებელი ბინების აღდგენაში, განურჩევლად ეროვნებისა, ისევე, როგორც ვეხმარებით იმ 20 ქართულ ოჯახს, უკვე რომ დაბრუნდა ზნაურში. მან დამსწრეთ აცნობა, რომ ოსი ეროვნების 3 დაპატიმრებული უკვე გაათავისუფლეს და კიდევ 2 პატიმრის შეწყალება სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს.

ერთ-ერთი პედაგოგი შეეკითხა ლუდვიგ ჩიბიროვს: რაკი ამდენ რამეს გვპირდებიან, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კვლავ საქართველოს შემადგენლობაში ვრჩებითო.

– მე პრეზიდენტი ვარ, მაგრამ მყავს მრჩეველთა საბჭო, რომელთან ერთადაც ვწყვეტ მნიშვნელოვან საკითხებს, – უპასუხა ჩიბიროვმა, – პოლიტიკა მსოფლიოში ყოველდღიურად იცვლება და მათზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდება ჩვენი საკითხი. ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებაზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია. როცა სსრ კავშირი დაიშალა, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი რესპუბლიკების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. დღეს უკვე აფხაზეთიც თანახმაა დარჩეს საქართველოს ფარგლებში. 8 წლის მანძილზე დიდი პოლიტიკური გამოცდილება შევიძინეთ და მჯერა, რომ სწორ გზას ვადგავართ. ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა ჩვენი რესპუბლიკა იყოს სრულუფლებიანი, მაგრამ დღეისთვის შეერთების მოთხოვნა ომს ნიშნავს. ის პერიოდი, როცა პრობლემები ომით წყდებოდა, დასრულდა. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ამავე აზრის არიან ჩვენი მეგობრები: ზასოხოვი, ახსარბეკ გალაზოვი, ანატოლი ჩეხოევი.

შეხვედრაზე დამსწრეთ ესაუბრნენ ცხინვალის ადმინისტრაციის საგარეო უწყებათა მინისტრი იური გაგლოითი, ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე სტანისლავ კოჩიევი.

მსგავსი შეხვედრები ჰქონდა ლუდვიგ ჩიბიროვს მედიცინის მუშაკებთან, ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციის აქტივთან, ახალგორის სოფლის მშრომელებთან, ქვაისის მაღაროთა სამმართველოს მუშებთან.

შეხვედრები გრძელდება. ისინი, როგორც ჩიბიროვმა თქვა, ხელს უწყობენ 14 ნოემბრის შეხვედრის ირგვლივ ხალხში გავრცელებული ჭორ-მართლის გარკვევას.

**ციალა კახნიაშვილი,**
„სრ“ საკ. კორ.
(ცხინვალი).



შარშან მოსკოვის გზებზე აღინიშნა ბავშვთა ტრავმატიზმის 1000-მდე შემთხვევა.

● სურათზე: ბავშვები შუქნიშნის წითელ შუქზე გადარბიან ქუჩას.

## ქალები - პილოტებად, მამაკაცები - სტიუარდებად?

ისრაელის ეროვნული ავიახაზების პილოტების კაბინები უკვე აღარ არის მამაკაცთა ბასტიონი, იუწყება როიტერის სააგენტო. ისრაელის ავიახაზების „ელ-ალ“ კომპანია, ეტყობა, უარს იტყვის თავის მოთხოვნებზე, რომელთა თანახმად, მგზავრთა გადაყვანაზე დაიშვებოდნენ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებში ნამსახურები მფრინავი მამაკაცები. პრეცედენტი შექმნა პილოტმა ქალმა ორიტ კატცირმა, რომელმაც 10 წელიწადს იმუშავა საზღვარგარეთის ხაზებზე და სასამართლოს მეშვეობით მოიპოვა „ელ-ალის“ ხაზებზე ფრენის უფლება. ავიაკომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დისკრიმინაციას ბოლო მოეღო. ახლა პილოტების სქესს მნიშვნელობა აღარ ექნება, მთავარია მათ გაიარონ მომზადება და ტესტირება.

## გაერო: ერაყს დახმარება სჭირდება

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს ურჩია, გაზარდოს იმ ნავთობის რაოდენობა, რომლის გაყიდვის უფლებაც აქვს ერაყს „სურსათის სანაცვლო ნავთობის“ პროგრამის ფარგლებში, იუწყება „სი-ენ-ენ“ სააგენტო. რეკომენდაციაში არაფერია ნათქვამი, როდიდან და რამდენად გაიყიდება გასაყიდი ნავთობის მოცულობა. ამჟამად ერაყს უფლება აქვს, ყოველწლიურად გაყიდოს 2 მილიარდი დოლარის ნავთობი და იყიდოს სურსათი და მედიკამენტები. კოფი ანანის თქმით, მისი რეკომენდაციები ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანურ მოსაზრებებს და არ გამომდინარეობს სურვილიდან, „წაახალისონ ან დასაჯონ სადამ ჰუსეინი“. „სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, კვირას, როდესაც გაეროს გენერალური მდივნის წინადადება გაისმა, ბაღდადში გაიმართა უჭმელობისა და სნეულებებისაგან დაღუპული 50 ბავშვის დაკრძალვა. ერაყის განცხადებით, უკანასკნელი დღეების მანძილზე საერთაშორისო სანქციების მსხვერპლი გახდა 100 ბავშვი. გაეროს საბავშვო ფონდი — იუნისეფი ადასტურებს ერაყის სავალალო მდგომარეობას — ეკონომიკური ბლოკადის ექვსი წლის მანძილზე მოშიმშილე ბავშვთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა.

## არსებობს კი დიაბეტის პანაცეა?

ბრიტანელ მედიკოსებს თავს ესხმიან იაპონელი და ამერიკელი კოლეგები, წერს ამერიკული გაზეთი „ჰ-ეს-ეი თუდეი“. ორი თვის წინათ, ბრიტანეთის ფირმა „ბლასკო ველკომმა“ დაიწყო პრეპარატ „ტროგლიტაზონის“ გაყიდვა. იგი განკუთვნილია დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის. პრეპარატის მთავარი ამოცანაა, შეამციროს შაქრის დონე ავადმყოფის სისხლში, რომლის დაავადებაც საუკუნის ავადმყოფობად არის მიჩნეული. გარდა ამისა, პრეპარატმა უნდა დააქვეითოს დიაბეტიანთა დამოკიდებულება ინსულინზე. მაგრამ, შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში აღინიშნა ხუთი სიკვდილის შემთხვევა ამ პრეპარატის მომხმარებელ ავადმყოფთა შორის. დღესდღეობით, მისი გამოყენება შეუძლია 670 ათას კაცს მთელ მსოფლიოში, მაგრამ სულ მალე გამოირკვევა, რა არის „ტროგლიტაზონი“ — პანაცეა თუ მხოლოდ და მხოლოდ არასაკმაოდ ტესტირებული წამალი, რომელმაც, შესაძლოა, შეიწიროს უბედური ავადმყოფები, ისინი, ვის ხარჯზეც მდიდრდება ფარმაცევტული ფირმა, დასძენს გაზეთი.

## ერაყს სულს მოათქმევინებენ

აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს პროგნოზს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციას (ოპეკ) განზრახული აქვს გაზარდოს ნედლი ნავთობის წარმოება დღეში 500 ათასი ბარელით (ბარელი — დაახლოებით 160 ლ), იუწყება როიტერის სააგენტო. ამ ღონისძიებას სულ მალე მოჰყვება ნავთობის ფასების შემცირება, მაგრამ არა — დაცემა. ოპეკის ქვეყნებს განზრახული აქვთ, ნავთობის წარმოების დონე გაზარდონ 10 პროცენტით, დღეში 27,5 მილიონ ბარელამდე. მაგრამ, რეალურად ეს მოცულობა რამდენადმე უფრო ნაკლები იქნება, ვინაიდან მთელი რიგი ქვეყნები უკვე მაქსიმალური სიმძლავრით მუშაობენ. დღეში წარმოებული 400 ათასი ბარელით გადიდება საუდის არაბეთს, ქუვეითს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ალჟირს ნამდვილად უზრუნველყოფს. ინდონეზია, ირანი და ლიბია თამასას არ ასწევენ. პროგნოზს არარად აგდებს ერაყი, რომელსაც უფლება აქვს „ფულის სანაცვლოდ ნავთობის“ პროგრამის ფარგლებში ნახევარ წელიწადში ერთხელ გაჰყიდოს 2 მილიარდი დოლარის ნავთობი. შესაძლოა, გაეროს რეკომენდაციით, ეს კვოტა გაიზარდოს.

## ცეკვა ცოდვაა?

10 ავღანელი ციხეში მოხვდა იმისათვის, რომ ტკბებოდა ცეკვებითა და მუსიკით, იუწყება „ჩიკაგო ტრიბუნი“, რომელიც იმოწმებს „თალიბანის“ მმართველი ისლამისტური დაჯგუფების ადგილობრივ რადიოს. როგორც რადიომ გამოაცხადა, მამაკაცებმა უგულებელყვეს მრავალგზისი გაფრთხილებები იმის თაობაზე, რომ მათი საქციელი ეწინააღმდეგება მაჰმადიანურ ტრადიციებს. „დანაშაულის“ ჩამდენ ავღანელებს მიუსაჯეს თითო თვით პატიმრობა. ეს პირველი შემთხვევაა ავღანეთში შემოღებული მუსიკისა და ცეკვის აკრძალვის განხორციელებისა, რომელიც „თალიბანის“ გახელისუფლებულმა ფუნდამენტალისტურმა მოძრაობამ დააწესა.

## დიპლომატიური ინციდენტი



● გერმანიის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი კინაღამ თვლებქვეშ ჩაუვარდა ნორვეგიის ბონელი ელჩის მანქანას, რომელმაც ეტიკეტის და „პროტოკოლის“ წესების დარღვევით გადაvლა მოუნდომა გერმანიის მთავრობის მეთაურის რეზიდენციის შესასვლელში დაფენილ ფიანდაზს, მაგრამ მაინც გააჩერა ავტომობილი. ფიანდაზი დაგებული იყო არა ელჩის, არამედ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრისათვის, რომელიც ვიზიტად ჩავიდა ბონში გფრ კანცლერთან მოლაპარაკების მიზნით.

## ფოსტამტები აღარ იქნება?

ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებენ ვაჭრობის ბუმს ინტერნეტის გლობალურ ქსელში, იუწყება როიტერის სააგენტო. უკვე ახლა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონულ ფოსტას ადრესატთან მიაქვს მეტი მოცულობის წერილები, ვიდრე საფოსტო უწყებას, და მეტი ინფორმაცია, ვიდრე გაზეთებს. ინტერნეტს ყველა შანსი აქვს საიმისოდ, რომ გახდეს მომავალი საუკუნის სავაჭრო ცენტრი. სპეციალისტთა აზრით, 2001 წელს ვაჭრობის მოცულობა „მსოფლიო აბლაბუდაში“ შეადგენს 220 მილიარდ დოლარს, რაც 100-ჯერ მეტია, ვიდრე შარშან. ცივილიზებული ქვეყნები თანდათან ხელს აიღებენ ქაღალდის ვალუტაზე ციფრულის სასარგებლოდ. ინტერნეტის ათვისების ხანა უკვე დამთავრდა და ის ქვეყნები, რომლებიც მეინსტრიმში ვერ მოხვდნენ, შესაძლოა, პროგრესის მიღმა აღმოჩნდნენ. მართალია, ინტერნეტ-კომერცია დამატებითს სიძნელეებს შექმნის დარგში, რომელსაც ტრადიციულად უწევდა კონტროლს სახელმწიფო — გადასახადის დაბეგვრაში.

## ინტერნეტის სათევზი სკოლებსაც მისწვდა

კომპიუტერული გიგანტის „მაიკროსოფტის“ დამაარსებელმა და პრეზიდენტმა ბილ გეიტსმა სახლი იყიდა ლონდონის პრესტიჟულ რაიონში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. ეტყობა, ამერიკის ანტიმონოპოლიური კომიტეტის უკმაყოფილება საპროგრამო უზრუნველყოფის ბაზარზე „მაიკროსოფტის“ მონოპოლიისა და ტონი ბლეირის ინგლისთან რომანის გამო, გაზეთ „ინდეპენდენტის“ თქმით, გეიტსს აიძულებს წლის გარკვეული ნაწილი ლონდონში გაატაროს. გეიტსმა ბრიტანეთის მთავრობას დაუდო 100-მილიონიანი კონტრაქტი, რომ ინგლისურ სკოლებს ჩართავს ინტერნეტის გლობალურ ქსელში. გარდა ამისა, „მაიკროსოფტმა“ 80 მილიონი დოლარი დააბანდა მეცნიერულ პროექტში, რომელიც ხორციელდება კემბრიჯის უნივერსიტეტში, ამერიკის ფარგლებს გარეთ მდებარე უდიდეს საკვლევ ბაზაში.




● რუსი პენსიონერები პესიმისტურად ეკიდებიან რუბლის მომავალ დენომინაციას.

## რუბლი მიუშვი ნებასა...

რუსეთის მთავრობის ცდები, სტაბილური გახადოს რუბლი, გადაიზარდა ერთობ სახიფათო თამაშად, წერს სარედაქციო სტატიაში „ფაინენშლ ტაიმსი“. რუსეთის ცენტრალური ბანკი თავის სავალუტო რეზერვებს იყენებს რუბლის კურსის გასამაგრებლად. მაგრამ, გაზეთის აზრით, ცხადი ხდება, რომ რუბლის გარკვეული კურსის მხარდაჭერა არათუ არ არის ხელსაყრელი, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობას იმედი აქვს, ეროვნული ვალუტის უბრალო დაცვით ახალ წლამდე როგორმე შეინარჩუნოს წვითა და დაგვით მოპოვებული ნდობა რუბლისადმი. მაგრამ, ხანმოკლე ღონისძიებებს, როგორც წესი, ხანგრძლივი შედეგები მოსდევს. ახლანდელი სასტაბილიზაციო ღონისძიებები, გაზეთის აზრით, სულ უფრო ნაკლებ რეალურს ხდის გაისად რუსეთის ეროვნული ფულის ზრდის ალბათობას. იმის მაგივრად, რომ ქვეყნის მთელი ეკონომიკა დასაჯო ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის ცდებით, აჯობებს, თავის ნებაზე მიუშვა რუბლი, რათა თვითონ განსაზღვროს თავისი საბაზრო ღირებულება, დაასკვნის „ფაინენშლ ტაიმსი“.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№307, კვირა, 7 დეკემბერი, 1997 წელი.

## მემკვიდრეობა

# „შენი სახლები სულ გავაქირავე“...

## ილია ჭავჭავაძის მემორიალური კაბინეტის აღდგენისათვის

**დღემდე ცნობილი იყო, რომ ილია ჭავჭავაძეს თბილისის საცხოვრებელ სახლში თავისი კაბინეტის კედლები გერმანიაში ნაყიდი ფერადი ლითოგრაფიებით ჰქონდა შემკული. დღეს მტკიცდება, რომ ეს ლითოგრაფიები ცალკეული ეგზემპლარები კი არ ყოფილა, არამედ – ერთი გამოცემის ილუსტრაციები.**

თბილისს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში.

15 წლის ყმაწვილი ჩამოიყვანა მამამ თბილისში სასწავლებლად და აქედან მოყოლებული, დედაქალაქი მწერლის ცხოვრების მთავარ ასპარეზად გადაიქცა, აქ დაარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, დაბეჭდა გაზეთი „ივერია“, ერთდროულად იყო პოპულარული ქართული გაზეთის „ივერიის“ რედაქტორი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, პირველი ქართული ეროვნული ორგანიზაციის — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავკაცი და, რაოდენ პარადოქსულია, რომ ასეთ პიროვნებას თბილისში სიცოცხლის ბოლო წლებამდე საკუთარი სახლი არ ჰქონდა — იგი უმეტესად ქირით ცხოვრობდა და ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, 1880-1901 წლებში თავისი დის სახლში (დღეს ილიას სახლ-მუზეუმის კომპლექსი ჯავახიშვილის ქუჩაზე) დაიდო ბინა, იქვე მოაწყო „ივერიის“ რედაქცია და სტამბა.

საუკუნის დასაწყისში ილია ავადმყოფობდა, მასში აღარ იყო ის ახალგაზრდული ენერგია და ჟინი, რომელსაც პეტერბურგიდან დაბრუნებული პოეტი გრძნობდა. თავდაუზოგავმა მუშაობამ, ნერვიულობამ გატეხა იგი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოვიდა ახალი თაობა, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული, რომელმაც ზურგი შეაქცია მამათა კონსერვატორულ იდეებს. ი. ჭავჭავაძეც ჩრდილში მოექცა — მას აკრიტიკებდნენ პრესაში, ახალგაზრდები ზურგს აქცევდნენ და ანგარიშსაც ხშირად არ უწევდნენ. ილია განზე დგება, თავს ანებებს „ივერიის“ რედაქტორობას და იწყებს ბევრისათვის გასაოცარ საქმეს — სახლის მშენებლობას. ზოგიერთი კითხულობდა კიდეც — ვის უშენებსო? მწერალი საგურამოში ახალი სახლის აშენებისა და მოწყობის შემდეგ თბილისში ანდრიას ქუჩაზე (დღეს ჩუბინაშვილის) ყიდულობს ერთსართულიან სახლს და მიწის ნაკვეთს. სახლის ნაწილს ანგრევს და ცნობილი ხუროთმოძღვრის ს. კლდიაშვილის პროექტით ორ დიდ ოთახს მიაშენებს. სწორედ ამ მშენებლობაზე სწერდა ილია ვარშავაში სამოგზაუროდ მყოფ დას — ლიზა საგინაშვილს: „შენი სახლები სულ გავაქირავე... იქით ქუჩაზედაც ვაპირობ სახლების აშენებას. უკვე ის ძველ-ძველი შენობა დავაქცევინე და ღვთით ამ ცოტა ხანში შენებას შევუდგებით. ფოდრიაჩიკთანა მაქვს მოლაპარაკება და ჯერ არ გამითავებია ლაპარაკი. ჩვენ ჯერ კიდევ სოფლადა ვართ, ესე იგი, ოლიკო ჯერ არ გადმოსულა საგურამოდამ“.

ალბათ, მწერალი გრძნობდა თავისი შემოდგომის დადგომას და სურდა სახლი მომავალ თაობებს დარჩენოდა, როგორც მისი მიკროსამყაროს აღსაქმელი ძეგლი, იქნებ მეუღლეს უშენებდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ოლღას ქალაქში საკუთარი ჭერი ჰქონოდა? ვინ იცის?!

ერთი კია, მწერლის არცერთ სახლში — საგურამოში, ყვარელსა და თბილისში მისი სიკვდილის შემდეგ არ შენარჩუნდა ილიასეული მიკროსამყარო, ნივთები განიავდა, ინტერიერი შეიცვალა, მეურნეობა გაოხრდა.

ვერც თბილისის საცხოვრებელი სახლი გადაურჩა ქარტეხილს. მწერლის ანდერძის თანახმად, მისი მთელი ქონება, მათ შორის, თბილისის საცხოვრებელი სახლი, ოლღას გადაეცა იმ პირობით, რომ იგი საბოლოოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცემოდა. ოლღამ სიცოცხლეშივე შეასრულა ქმრის ანდერძი, იმ იმედით, რომ შენობაში მწერლის მუზეუმი გაიხსნებოდა, მაგრამ, ილიას ვალების გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იძულებული იყო სათავადაზნაურო ბანკიდან გამოესყიდა შენობა, იმ ბანკიდან, რომლის დაარსებას და გაძლიერებას მწერალმა ათეული წლები შეალია.

ერთხანს საზოგადოება აპირებდა კიდეც ილიასეულ სახლში მუზეუმის გახსნას, მაგრამ ეკონომიური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა გაექირავებინა და დროებით კერძო მოსახლეები შეესახლებინა. წლები გავიდა და დროებით შესახლებულთა გამოსახლება მხოლოდ 1957 წელს მოხერხდა, როდესაც გადაწყდა შენობის სახლ-მუზეუმად გადაქცევა. ნახევარი საუკუნის მანძილზე სახლის ილიასეულმა მოწყობილობამ, პირადმა ნივთებმა და ბიბლიოთეკამ მრავალი ადგილი გამოიცვალა. ეს უკანასკნელი ბოლოს ქშწკგ საზოგადოება-მუზეუმში ცალკე იყო დაცული და ამ ორომტრიალს უკეთესად გადაურჩა, განსხვავებით ილიას ნივთებისა, რომლის ნაწილი სამუდამოდ დაიკარგა, ასეთივე ბედს გაიზიარებდა სახლის ილიასეული მოწყობილობა, რომ არა გიორგი ლეონიძის დამსახურება, რომელმაც ამ 50 წლის წინათ მთელი ქართველი საზოგადოება, მაშინდელი ფუნქციონერები და კოლექციონერებიც კი ჩააბა მათი მოძიების საქმეში და არაერთი მათგანი დაუბრუნა მუზეუმს.

ილიას სხვა მემორიალური სახლებისაგან (ყვარელი, საგურამო, საგინაშვილისეული თბილისის სახლი) განსხვავებით, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე თბილისის საცხოვრებელი სახლის აღდგენა შეიძლება იმ სახით, როგორიც დატოვა მწერალმა სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე. ეს შესაძლებლობა მოგვცა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ სამსონ ფირცხალავამ. მან შიშის გამო, რომ ქართველები ილიას სამკვიდროს დაარღვევდნენ, მწერლის დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ თბილისის ცნობილ ფოტოგრაფს — ერმაკოვს გადაალებინა ილიას კაბინეტი. გადარჩა სხვადასხვა კუთხიდან გადაღებული 4 ფოტოსურათის ნეგატივი და ამ ფოტოების საშუალებით მოხდა მწერლის დაბადების 150 წლისთავზე ოთახის ინტერიერის აღდგენა (იხ. გ. შარაძე, ი. ჭავჭავაძე, ფოტომატიანე ტ. II გვ. 162-216), მაგრამ მიუხედავად ამისა, მრავალი საკითხი მაინც გადასაჭრელი დარჩა, მათგან ორი უმთავრესია: ოთახის მშვენების — მწერლის მემორიალური ბიბლიოთეკისა და კაბინეტის კედლებზე გამოფენილი ფერადი ლითოგრაფიების კოლექციის აღდგენა.

მწერლის მემორიალური ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. იგი ქშწკგ საზოგადოების სხვა კოლექციებთან ერთად შემოვიდა 1937 წლის მაშინდელ საჯარო ბიბლიოთეკაში და ამ საზოგადოების ფონდის ბრწყინვალე ნაწილს შეადგენს. მისი ილიასეულ კაბინეტში დაბრუნება გაუმართლებელია უმთავრესად იმის გამო, რომ ამ ფონდს სამუზეუმო ექსპონატობის გარდა, სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და ამ მხრივ მისი არსებობა ეროვნულ ბიბლიოთეკაში უფრო მიზანშეწონილია. ამასთან ერთად, ბიბლიოთეკის ეგზემპლართა ძირითად ნაწილს საგამომცემლო ყდა გამოცვლილი აქვს და ამ სახით მათი ილიას კაბინეტში გამოფენა ყველაფერთან ერთად უხერხულიცაა. არადა, ბიბლიოთეკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთახის ინტერიერის აღდგენისათვის. ერმაკოვისეულ სურათებსა და ილიასეული ბიბლიოთეკის კატალოგზე მუშაობით დავადგინეთ სავარაუდო გამოცემების დასახელებანი, რომელნიც ილიასეულ კარადებში ყუის გაფორმებით ამოვიცანით. მაგ. ბროკგაუზ-ეფრონის ენციკლოპედიის გვერდით ჩანს გამომცემლობა „Просвещение“-ს ცნობილი სერია „Вся природа“, რომელთა ცალკეული ტომები 1987 წელს გამოცემულ ილიას ბიბლიოთეკის კატალოგშია დაბეჭდილი, ნაწილი კი დაკარგულია, აღნიშნული სერიის გვერდით გერმანელი ისტორიკოსის ჰანს გელმოლტის ცხრატომეულის (სათაურით „История человечества“) 6 ტომია მოთავსებული, ეს წიგნები ილიასეულ კატალოგში არ იყო შეტანილი. ბიბლიოთეკის საერთო ფონდში ამ გამოცემის ზუსტად 6 ტომი აღმოჩნდა, რომელთაც ილიასეული ბიბლიოთეკის ნიშნები ჰქონდა. ამ მიკვლევით დადგინდა მწერლის კაბინეტის ერთ-ერთ კარადაში გამოცემების ზუსტი განლაგება და სხვა კარადებში ეგზემპლართა განლაგების რიგიც — საქმე ის არის, რომ ილიასეულ ცალებს ფორზაცზე ლურჯი ფანქრით რიცხვები აწერია, რომელთა მნიშვნელობაც დღემდე დაუზუსტებელი იყო. ზემოთ აღნიშნული სერიის წიგნთა ფორზაცებზე აღნიშნული რიცხვები გვიჩვენებს იმას, რომ ილიას წიგნები დაუნომრავს თაროზე მდებარეობის მიხედვით. იგი ერთი გამოცემის სხვადასხვა ტომს ერთი და იგივე რიცხვით ნომრავდა, სხვა გამოცემას კი მომდევნო რიცხვით კაბინეტის იერსახის აღდგენის მიზნით. მიზანშეწონილია აღნიშნულ გამოცემათა კარგად შენახული ცალების მოძიება და მათი განლაგება თაროებზე ილიასეული ეგზემპლარების ფორზაცზე დაწერილი რიცხვების მიხედვით.

მწერლის ბიბლიოთეკის სრულყოფილად აღდგენისათვის ილიას 160 წლისთავთან დაკავშირებით პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა მისი კოლექციის ეგზემპლართა მოძიება ახალი მეთოდით, რომლითაც გაირკვა ილიას ბიბლიოთეკის 152 ეგზემპლარის დასახელება. მათი მცირე ნაწილი უკვე დაკარგული ან ჩამოწერილი აღმოჩნდა, მაგრამ კატალოგების მეშვეობით დადგინდა გამოცემათა ზუსტი აღწერილობა. პრაქტიკულად მთლიანად შეგროვდა ილიას კოლექციის ის ნაწილი, რომელიც დღემდე გაბნეული იყო ბიბლიოთეკის ფონდებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბიბლიოთეკაში შემოსვლამდე აღნიშნული კოლექცია უკვე არასრული იყო. ჩვენს მიერ მოძიებული ეგზემპლარებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გამოცემა **„Malerishe studien Eine Reise um die welt in 200 farh. bhotogryphien, nach Naturyfnahmen“ - LPZ. - K.F. Koehler (sd)** დაბეჭდილი ორ ტომად ლაიფციგში. დღემდე ცნობილი იყო, რომ ი. ჭავჭავაძეს თბილისის საცხოვრებელ სახლში თავისი კაბინეტის კედლები გერმანიაში ნაყიდი ფერადი ლითოგრაფიებით ჰქონდა შემკული. ამ სურათების ნაწილი კაბინეტის დაშლის შემდეგ დაიკარგა.

მტკიცდება, რომ ეს ლითოგრაფიები ცალკეული ეგზემპლარები კი არ ყოფილა, არამედ ილუსტრაციები, დასახელებული გამოცემისა, რომელიც მწერალს შეუძენია გერმანიაში. ჩამოუტანია სამშობლოში, შერჩევით 78 ფურცელი ამოუჭრია და ოთახის კედლები დაუმშვენებია. ამათგან 56 დღეს თბილისის ილიას სახლ-მუზეუმში მწერლის აღდგენილ კაბინეტშია, 22 კი დაკარგულია. აღნიშნული გამოცემა მაღალტირაჟიანია და მისი სხვა ეგზემპლარის მოძიებით და ილიასეულ ცალთან შედარებით თითქმის მთლიანად აღდგება მწერლის კაბინეტის სურათების კოლექცია.

1913 წელს ილიას ოთახის ინტერიერის დაშლის გამო სამსონ ფირცხალავა წერდა:

„განადგურდა ის კაბინეტი, დარბაზი, მათი მორთულობა, რომელიც დაცული იყო იმ სახით, როგორც ჰქონდა თვითონ ილიას, რა საყვარელი, საალერსო წამი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს... რა ძვირფასი სანახავი იქნებოდა შესანიშნავი პოეტის მაგიდა, კედლების მოწყობილობა, სურათები, თავისებურად დალაგებული წიგნები, რომლებიც შეადგენდნენ იმ სულიერ წრეს, სადაც ფიქრობდა, გრძნობდა, ოცნებობდა მაღალი ნიჭი და ძლიერი გული! ჩვენ ვერ შევძელით დაგვეცვა უძვირფასესი სიწმინდე და გადმოგვეცა ეროვნულ ტაძრად შვილებისათვის! შეიძლება ახლა ამის აღდგენა? შეიძლება დავუბრუნოთ ილიას კაბინეტს წინანდელი სახე? საეჭვოა, საეჭვო!..“

თურმე, შესაძლებელი ყოფილა!

**ლევან თაქთაქიშვილი,**
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი

ტრადიცია

ეს სამეული სასტუმრო „აჭარასთან" შევნიშნე, ქუჩის აქეთ მხარეს გადმოდიოდნენ. მე იქით ვაპირებდი გადასვლას.

შუქნიშანი აინთო თუ არა, მათ ელვის სისწრაფით გადმოჭრეს გადასასვლელი და ჩვენ პირისპირ აღმოვჩნდით. ნაცნობებივით გავუღიმეთ ერთმანეთს.

— ჩაინიზ? — შევეკითხე მე.

— დიახ. დიახ. ჩინელები ვართ, — ცზია შუფენი, — გამეცნო კაცი — ნა ჩუნ-ჟი, თქვა ქალმა, ჩენ ხუეი-ჩჟენ, — თავი დამიკრა მეორე მანდილოსანმა.

გამაოცა ასეთმა გამართულმა რუსულმა...

მიხვდნენ — მასწავლებლები ვართ, რუსულ ენას ვასწავლით შანხაის ერთ-ერთ სკოლაში, მოსკოვში სტაჟირებაზე ვართ პუშკინის ინსტიტუტში. ვისარგებლეთ შემთხვევით და თბილისში ჩამოვედითო.

— ნატვრა ავისრულეთ, — თქვა კაცმა და თხილის გულის ოდენა კბილები გამოაჩინა.

— სამი დღეა დავდივართ, ვათვალიერებთ ქალაქს, ვმოგზაურობთ — ვიყავით მცხეთაში, თელავში.

— ახლა ვაშლის საყიდლად გამოვედით.

— ვაშლის?

— დიახ, დიახ. კე-ხუ-რა. წუხელ გვახელით. ძალიან მოგვეწონა, გვინდა თან წავიღოთ.

— ჩინეთში?!

— რატომაც არა? — გაიკრიჭა შუფენი, — თუ გაძლო იქამდე. თუ არა და, აქაც ხომ გვასიამოვნებს.

— გაძლებს, როგორ არ გაძლებს, — ვუთხარი მე. — კეხურა მეორე მოსვლამდეც კი ინახება.

ჩინელები იქვე, მეცნიერებათა აკადემიის სახლის ქვეშ მდებარე ხილბოსტნეულის მაღაზიაში შევიყვანე. დახლზე ნაირნაირი ვაშლები ელაგა: „ბროცკი", „ანტონოვკა", „ბანანი", „ცარსკი"...

— კეხურა არა გაქვთ? — შევეკითხე გამყიდველს.

— ქალბატონო, ამ ვაშლებს კეხურა სჯობია? — ზრდილობიანად დამიღრინა მან.

კაცია და გუნება, — ვთქვი მე და სტუმრებს მივუბრუნდი.

ალბათ, ბაზარში მოგვიწევს წასვლა.

მაღაზიიდან გამოვედით და ფიქრმა არ მომასვენა. სად ვნახე ეს ვაშლი? სად? სად? დღეს, ამ დილით, და თვალწინ წარმომიდგა ჩემი აივანი, ვაშლებით გავსებული დიდი ყუთი და გახარებულმა წამოვიძახე:

— წამობრძანდით, წავიდეთ, მე აღმოვაჩინე ვაშლები. აქვე ტაქსი გამოგვეცხადა. ჩავსხედით შიგ და აი, ახლა მანქანა ბახტრიონის ქუჩაზე მიგვაქროლებდა, მაღლა, იყალთოს მთაზე, ფანასკერტელზე.

— ჩვენ ვეწვევით ერთ ოჯახს, — წამოვიწყე მე, — რომლის უფროსსაც ძალიან უყვარს ვაშლი. დღე-ღამის განმავლობაში ხუთჯერ მაინც გეახლებათ ვაშლს და სხვებსაც ურჩევს მიირთვან. ამბობს: ერთი ვაშლი დღეში, სხეულიდან ერთ ავადმყოფობას გამოდევნისო. თავად ექიმია, ქალაქში ცნობილი მკურნალი-პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი ნაშრომის, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და ლექსიკონების ავტორი. დაწერილი აქვს წიგნი „სახალხო მედიცინა ჩინეთში".

— მართლა?! — გამოცოცხლდნენ სტუმრები.

— დიახ, მან ის ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ დაწერა.

* * *

კარი ფართოდ გაიღო.

უცხოელების წინ იდგა თივთიკის ჩოხაში, ცისფერ ახალუხში, აზიურებში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯლიანი, მაღალი, წარმოსადეგი ქართველი. ფართო შუბლი გადმოსცქეროდა მის არწივისებურ ცხვირს. თეთრგარეული ხშირი წარბები ბურავდა მის ცისფერ თვალებს. ტუჩზე ბუჩქად აჯდა შეჭაღარავებული ულვაში.

— ჩინ-ძინ, — მან ეს სიტყვა ჩინურად წარმოთქვა, — მობრძანდით.

— რაო? თქვენ იცით ჩინური? — გაიოცეს სტუმრებმა.

— სულ რამდენიმე სიტყვა: გამარჯობა, დაბრძანდით, როგორ ბრძანდებით, გმადლობთ, ნახვამდის. ეს სიტყვები მე ვიცი ყველა იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ვყოფილვარ, ვფიქრობ, ეს აუცილებელია...

— გამარჯობა, გმადლობთ, — ქართულად წარმოთქვა ცზია შუფენმა, — ჩვენც ვიცით ქართული. სტუმრები მასპინძლის ჩოხით დაინტერესდნენ.

— ჩოხა ბოლშევიკებმა გახადეს ქართველებს და კიტელი ჩააცვეს. ხელისუფლებამ აკრძალა ეროვნული ტანსაცმელი. მთელი ჩემი ახალგაზრდობა ჩოხაზე ვოცნებობდი. და აი, ორმოცდაათი წლის იუბილეზე მეუღლემ ჩოხა მომართვა საჩუქრად. ჩოხას დღესასწაულებზე ვიცმევ.

სტუმრები სულგანაბულნი უსმენდნენ:

— მაინც რა საოცარია — ჰყვებოდა მასპინძელი, — რამდენადაც ხანმოკლე უნდა იყოს შენი ვიზიტი უცხო ქვეყანაში, შინ დაბრუნებულს გენატრება იქაურები. მე თქვენ მომენატრეთ.

დღესაც თვალწინ მიდგას შანხაის ნავსადგური — ჩვენი ტურისტების დასახვედრად ლამის მთელი ჩინეთი მოსულიყო. შანხაის ქუჩებს დროშები და ყვავილები ამშვენებდა, დაფდაფების ხმა აყრუებდა იქაურობას. ლამაზია თქვენი სანაპირო, ზედ გაშენებული ინგლისური სეტლმენტები, ხიდები, ზღაპრული ხიდები, არქიტექტურული ნაგებობანი, საბავშვო ბაღები ტალღისებური სახურავებით. მე ბევრი ნაცნობი და მეგობარი მყავს შანხაიში. მათ შორის — კოლეგები. შანხაიში ცხოვრობს ქართული წიგნის მშვენების „ვეფხისტყაოსნის" ჩინურად მთარგმნელი. ქართველებმა სურათიც გადავიღეთ მასთან. ახლავე გაჩვენებთ ჩინეთში გადაღებულ ფოტოსურათებს.

იგი კარადასთან მივიდა. საქაღალდეებიდან ერთი გამოარჩია და გახსნა. მაგიდაზე უამრავი ფოტო მიმოიფანტა.

— აი, ვიპოვე. ეს გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი დიმიტრი გედევანიშვილია — ჩემი მასწავლებელი. მეუღლე მისი — ქართული კინოს ვარსკვლავი თამარ ციციშვილი. ეს გაჯიკი პოეტია. ეს ახალგაზრდა მეცნიერი ფიზიოლოგი — გივი ვეფხვაძეა, ეს კი — მე და ჩემი მეუღლე.

სტუმრები დახარბდნენ ფოტოებს.

— ეს სუნ-იატსენის საფლავია...

— ეს იმპერატორის საგაზაფხულო სასახლე...

— ეს ზამთრის სასახლე... თქვენ პეკინშიაც ბრძანდებოდით?

— დიახ, დიახ, რამდენი შესანიშნავი ძეგლია თავმოყრილი პეკინის გარშემო. აკი მოგახსენეთ, ჩინეთში ღედა მახლდა, ხანშიშესული, მაგრამ მარჯვე და ყოჩაღი, ყოველთვის ხალისიანი და მხიარული, დაღლა არ იცოდა. ამიტომაც გავბედე მისი წაყვანა ასე შორეულ გზაზე. წარმოიდგინეთ, გვიმტყუნა, ავად გაგვიხდა. ექიმები საკმარისად ვიყავით ჯგუფში, მაგრამ წითელ ქარს უწამლოდ ვერ მოერევი. ქართველებს თუ რამე ებადათ, წამლებზე გახარჯეს. ავადმყოფი უფრო და უფრო დამძიმდა. საჭირო გახდა მისი სტაციონარში გადაყვანა. და აი ამ დროს ჩინელებმა, ჩემმა კოლეგებმა, თავიანთი ცნობილი ხერხებით, ტრადიციული ხალხური მეთოდებით ორ დღეში ჩაუქრეს წითელი ქარი დედაჩემს და ფეხზე დააყენეს. აი, რად მიყვარხართ თქვენ.

* * *

ხურმა გავშალე. შობის დღიდან კიდევ მქონდა დარჩენილი გოზინაყი, ნამცხვარი, ლვეზელი, ხილი. ჩიჩილაკს მოვხსენი თავზე წამოცმული ვერცხლის ფულებით გატენილი ფორთოხალი და კოფოზე ახლა კეხურა დავსვი.

ჩინელების ყურადღება მაშინვე ჩიჩილაკმა მიიპყრო.

— კეხურა, კეხურა, — მოჰყვნენ წიოკს. — ეს ნაძვის ხეა? განა თქვენ სათამაშოებით არ რთავთ ნაძვის ხეს? ეს ხომ ვაშლია? ეს ჩურჩხელა, ეს ჩვეულებრივი კანფეტებია, ჩურჩხელა თელავში გაგვასინჯეს. ო, რა გემრიელია. კეხურა, კეხურა, რად არის შიგ ფულები?

— დაბრძანდით ახლავე გაგაცნობიერებთ, — თქვა პროფესორმა.

და ახლა იმას მოჰყვა, როგორ ხვდებიან შობა-ახალწელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როგორ რთავენ ჩიჩილაკს, ნაძვის ხეს... როგორი ადათ-წესები აქვთ ქართველებს.

უცხოელები გულისყურით უსმენდნენ მასპინძელს.

ჩინურ ლარნაკზე დაწყობილი გოზინაყი მხიარულად უცინოდა სტუმრებს.

— ეს რა არის? — დაინტერესდნენ ქალები.

— ეს წვრილად დაჭრილი ნიგოზია, ნუში ან თხილი, თაფლში მოხელილი. გოზინაყი ჰქვია. ამას ჩვენ შობა-ახალწელს მივართმევთ ხოლმე ერთმანეთს და ვამბობთ: — ტკბილად დამიბერდი, მიირთვით — შევთავაზე მე და გოზინაყი ჩამოვურიგე.

— ტკბილად დამიბერდი? რა შესანიშნავი სიტყვებია... რა დიდებული სურვილია.

— მე ახლა შევეცდები გასწავლოთ ღვინის დალევა ყანწით.

და გაგრძელდა ქართული სუფრა თავისი წესითა და ადათით.

* * *

თებერვლის დღეებში ფოსტის ყუთი წერილებს ვერ იტევდა.

25 თებერვალს იყო დაბადებული პროფესორი. იუბილარს მოსალოც ბარათებს უგზავნიდნენ მასწავლებლები, მოწაფეები, მეგობრები, პაციენტები. იგი მეორე დღეს — ლხინგადახდილი ხსნიდა ბარათებს. ახლაც მიჯდომოდა საწერ მაგიდას და ფოსტას ათვალიერებდა. იქვე სავარძელში მოკალათებული ჟურნალის ახალ ნომერს ვფურცლავდი.

მან რაღაც ჩაილაპარაკა.

— მითხარი რამე?

პასუხი არ გაუცია. ულვაშებში ჩაიცინა, კონვერტიდან წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა. სიამე დაეუფლა სახეზე.

— რაო, არ იტყვი, რა ხდება?

— ახლავე, ახლავე, — თქვა მან. — ნახე, რა ჰქნა კეხურამ! — წერილი გამომიწოდა — ღმერთი სიკეთის ქმნისთვის ასაჩუქრებს ადამიანს. მადლიერებით სავსე წერილია, ეს შენ გეკუთვნის. წაიკითხე, ამაზე უკეთესს რას ინატრებდი ჯილდოდ.

წერილი გამოვართვი და კითხვას შევუდექი:

**„ძვირად პატივცემულო გულნარა ბახტაძე:**

**ახლა თქვენ ყოველდღიურ განამანიაში, ალბათ, აღარც გახსოვთ ერთ მშვენიერ დღეს როგორ შეხვდით ქუჩაში ჩინელ სტაჟიორებს და აჩუქეთ არაჩვეულებრივი წითელი ვაშლები. ეს ეპიზოდი, ჩვენი ყოფნა საქართველოში, სტუმრობა თქვენს ოჯახში, სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც ულამაზესი მოგონება. თქვენი ლამაზი გარეგნობა, თბილი ხმა, კეთილი დამოკიდებულება ჩვენდამი, ჩვენთვის სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის ძეგლია. თქვენი საქციელით თქვენ გამოხატეთ საოცარი სითბო და სიყვარული ჩინელი ხალხისადმი. თქვენმა ამგვარმა მოპყრობამ თქვენი ვაჟიშვილის თავგანწირვამ, რომელმაც მოგვატარა სალოცავები, გვიჩვენა ძველი თბილისი, დიდად გვასიამოვნა. არ ვიცოდით რა მოგვემოქმედა, როგორ გამოგვეხატა მადლიერება.**

**მოსკოვში რომ დავბრუნდით, ყველას ვუამბობდით თქვენზე, — ჩვენს ქართველ მეგობრებზე, თბილისზე. და აი, ჩვენ გავამზადეთ სტატია ჩინური გაზეთისათვის, სადაც ჩინელ მკითხველებს მოვუთხრობთ თბილისში გატარებულ სამ დღეზე. ჩინელი ხალხისადმი ქართველი ხალხის ასეთ მეგობრულ დამოკიდებულებაზე, მათ უძველეს კულტურაზე, ისტორიაზე.**

**ბატონო პროფესორო! გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, დიდ ბედნიერებას თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად. ახალ-ახალ მიღწევებს თქვენს შემოქმედებით სარბიელზე.**

**დაე, მუდამ მეგობრობდნენ ჩინელი და ქართველი ხალხები. საქართველოს ვუსურვებთ აყვავებას და აღორძინებას!"**

თქვენდამი
ულრმესი პატივისცემით
ჩინელი სტაჟიორები
ცზია შუფენი,
ნა ჩუნ-ჟი,
ჩენ ხუეი-ჩჟენ...



გულნარა ბახტაძე

# არაჩვეულებრივი წითელი ვაშლები

მეუღლის ხსოვნას

საქართველოს რესპუბლიკა
№307, კვირა, 7 დეკემბერი, 1997 წელი.

## თეატრი

# ევროპული ფოთოლცვენის სურნელი

**ფოთოლცვენა (Listopadu), ასეთი ლამაზი სახელი შემოუნახავთ ჩეხებსა და პოლონელებს ნოემბრის თვისათვის. ალბათ, სხვა თვეების ძველებური დასახელებებიც გააჩნიათ. ჩვენ კი ჩვენებური, ძირძველი, ულამაზესი ქრისტეშობის, მარიამობის, მკათათვე და ღვინობისთვე განვდევნეთ ხმარებიდან ისევე, როგორც ულამაზესი ქართული ასომთავრული... გამექცა აზრი, — სწორედ ნოემბრის თვის 14-დან 24-მდე გაიმართა საქართველოს ხელოვნების დღეები პრაღაში.**

12 ნოემბერს ქართული ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლებით გაივსო თვითმფრინავი თბილისი – პრაღა. აქ ბრძანდებიან რამაზ ჩხიკვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურამ სალარაძე,



ნანა ჩიქვინიძე, ნანა ფაჩუაშვილი, ნატო მურვანიძე და მრავალი სხვა. ბავშვთა ქორეოგრაფიული და სიმღერის ანსამბლი „ბერიკა“. მხატვრები ნანა ბოტკოველი, რადიშ თორდია, გიორგი წერეთელი, გია ბუგუშვილი, დირიჟორი ვახტანგ კახიძე.

დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კულტურისა და ჯანმრთელობის მინისტრების პირველი მოადგილეები ნინო კობაიძე და ამირან გამყრელიძე.

პრაღის ქუჩებში საოცრად ლამაზი, გაჩირაღდნებული რეკლამები იუწყებიან ღონისძიებების ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ. აქვე ვგებულობთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების განცალკევების შემდეგ, ამგვარი დღეების ჩატარების პატივი, უპირველესად, სწორედ საქართველოს ხვდა წილად.

დეკადა იხსნება ანსამბლ „ბერიკას“ საოცარი კონცერტით, რომელსაც იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ ქართული ხელოვნების უფროს წარმომადგენლებს დილემის წინაშე აყენებს: – ამაზე უკეთესი რაღა უნდა იყოსო. იმავე დღესვე იხსნება მხატვრების გამოფენაც პრაღის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კრემლის ტერიტორიაზე.

18-ში სარდაფის თეატრში ავთო ვარსიმაშვილის დადგმული სტრინდბერგის პიესა „სიკვდილის როკვა“ გათამაშდა – ნანა ფაჩუაშვილის, რამაზ ჩხიკვაძისა და გურამ სალარაძის მონაწილეობით. ამავე დღეს დაიწყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა, რომელიც წარმოადგინა ბატონმა გიორგი შენგელაიამ ფილმებით „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, „რობინზონიადა“, „ფიროსმანი“, „ელისო“, „ცისფერი მთები“, „ვედრება“, „ვერის უბნის მელოდიები“, „იყო შაშვი მგალობელი“ და მრავალი სხვა.

ორიოდ სიტყვა თეატრ „არხაზე“, სადაც მიწვეული იყო მარჯანიშვილელთა სპექტაკლი „მეფე ლირი“. ეს თეატრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უძველეს და ულამაზეს პრაღაში. აქ თავის დროზე მოღვაწეობდა დღევანდელი ჩეხეთისა და ევროპის გამოჩენილი პოლიტიკოსი და პიროვნება, დრამატურგი ვაცლავ ჰაველი, რომელიც მხოლოდ ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ჩვენს სპექტაკლსა და, საერთოდ, საქართველოს დღეებს.

გრაბასად თუ არ ჩამეთვლება, „არხაში“ წარმოდგენილი „მეფე ლირი“ დეკადის კულმინაციური წარმატება აღმოჩნდა. როგორც ბატონი დავით ტურიაშვილი იმოწმება, რომელსაც წამზომი ჰქონდა ჩართული, აპლოდისმენტებმა 20 წუთს გასტანა. მონაწილეებს კვლავ და კვლავ უხმობდნენ სცენაზე. სპექტაკლის შემდეგ მოწყობილ ბანკეტზე, თეატრის დირექტორმა ანჯეი ინჩაბმა ბრძანა, რომ ხანგრძლივი მცდელობა ქართული თეატრის მოწვევისა პრაღაში, ტრიუმფით დასრულდა. იგი განსაკუთრებული აღტაცებით მიესალმა მთავარი როლის შემსრულებელს ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესს, დამდგმელ რეჟისორს დავით დოიაშვილს და მთელ კოლექტივს, აღტაცებასა და მოლოცვებს ბოლო არ უჩანდა. უნებურად გამახსენდა მადრიდის ფესტივალზე, „ჯაყოს ხიზნების“ წარმოდგენის შემდეგ, აღფრთოვანებული მაყურებლის ოვაცია რომ ჩაახშო კულისებში შემოვარდნილმა რამაზ ჩხიკვაძის ყვირილმა: – „არ დაგიჯერებენ მაგას თბილისში, არა!“... ის შემთხვევა გავახსენე ბატონ რამაზს და მანაც ჩვეული იუმორით ბრძანა: – „არც ამას დაგიჯერებენ, არა!“.

აქვე არ შემიძლია არ მოვეფერო ჩეხეთში მყოფ ქართველებს: ბატონ თეიმურაზ სხირტლაძეს, ნიაზ ბარათელსა და ალექსანდრე ჩხიკვაძეს, რომლებიც თავიანთი ოჯახებით მთელი გასტროლების განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებიან. ბატონი ვაცლავ ჩერნი, შესანიშნავი ქართველოლოგი, თუმცა ჩეხეთის მხარეს წარმოადგენდა, მაგრამ ამ დღეებში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა.

შესანიშნავი ჩეხი ქალბატონი იანა, რომელმაც მისხალ-მისხალ დაგვატარა ჩეხეთის უძველესი ვერცხლის ქალაქი პუტნაგორა და პრაღის ღირსშესანიშნაობები...

ქართველი კაცი არსად არ არის გასაშვები, მიუხედავად ამდენი სისარულისა და სიამაყისა, უკვე სახლისაკენ მიგვიწევს გული. ჩვენს გამოციებულ, უშუქო და დანგრეულ ბუდეში, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრს პოლონეთი ელის. ვემშვიდობებით ჩვენს მეგობრებს და 21 ფოთოლცვენას ვარშავისაკენ მივემგზავრებით.

პოლონეთის საზღვარი ღამით გადავკვეთეთ. ვიცოდით, რა მძიმედ გადაიტანა ამ ქვეყანამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და განცვიფრებულები შევცქეროდით გაჩახჩახებულ ქალაქებსა და სოფლებს. ვარშავაში ღამით ჩავედით. ქალბატონ ქეთი დოლიძის მეცადინეობით შესანიშნავ სასტუმრო „პოლონიაში“ დავბინავდით.

ირიჟრაჟა. ფანჯრიდან უნებურად თვალი მოვკარით საბჭოთა სიძლიერის სიმბოლოს, კულტურის ცენტრის უზარმაზარ შენობას, რომელიც სტალინმა საჩუქრად უძღვნა პ ო ლ ო ნ ე ხალხს. ამ კოლოსალური სიმახინჯის დანგრევა იმდენად ძვირი ჯდება, რომ მისი ლიკვიდაცია შეუძლებელი შეიქნა. პოლონელებმა შური იმით იძიეს, რომ მის გარშემო „ბუტკების“ ქალაქი შექმნეს და დილიდან საღამომდე თბილისური ბაზრობის მოწმენი გავხდით პოლონეთის მიწაზე.



დილით რეპეტიცია გვქონდა „ახალი თეატრის შენობაში“, რომელსაც მთელ ევროპაში ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ადამ ხანუშკევიჩი ხელმძღვანელობს. თეატრი გულითადი მასპინძლობით შეგვხვდა და მსახიობთა ბუფეტი ორი დღის მანძილზე უსასყიდლოდ გვემსახურებოდა.

სპექტაკლის წინ მღელვარებამ ზღვარს მიაღწია. პოლონური თეატრი განთქმულია თავისი შესანიშნავი მიღწევებით და მათ წინაშე გამოსვლა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და ოსტატობას მოითხოვდა.

სპექტაკლზე ბილეთი არ გაყიდულა, იგი მიეძღვნა უდიდესი პოლონელი მსახიობის ტადეუშ ლომნიცკის ხსოვნას, რომელიც სამი წლის წინ სწორედ „მეფე ლირის“ გენერალურ რეპეტიციაზე გარდაიცვალა. სპექტაკლზე მოწვეული იყო ვარშავის მთელი თეატრალური ელიტა. „მეფე ლირს“ აქაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. აბობოქრებული დარბაზი ისევ ბატონმა ადამ ხანუშკევიჩმა დააოკა. იგი თაიგულებით დახუნძლული ამოვიდა სცენაზე და უდიდესი შეფასება მისცა ჩვენს წარმოდგენას. ცოტა უხერხულიც კია ამის კომენტირება, მაგრამ მან აღნიშნა, რომ ამგვარი გრანდიოზული სპექტაკლი; ალბათ; ნაციონალური თეატრის სცენაზე უნდა გამართულიყოო და მადლობა გადაგვიხადა, საგასტროლოდ მისი თეატრი რომ ავირჩიეთ. შემდეგ დიდხანს ისაუბრა ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესის ლირზე, აღნიშნა ახლახანს თბილისში გამართული თეატრალური ფესტივალის მნიშვნელობა. ბოლოს სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ ამგვარი თეატრი ვარშავას ომის შემდგომი პერიოდიდან არ წვევია და, რომ ეს სპექტაკლი მსოფლიომ უნდა ნახოსო.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომელმაც აღნიშნა, რომ დღევანდელ დღეს საქართველოში წმინდა გიორგის ხსენების დღეა, ალბათ; მისი მადლი გვეხმარებოდა წარმატებაში და მადლობა მოახსენა მასპინძლებს ესოდენ დიდი შეფასებისათვის. შემდგომ გაიმართა დიდებული ბანკეტი, რომლის დროსაც იქაური ქართველები თავიანთ შნოსა და მარიფათს გულუხვად ამჟღავნებდნენ. შეუძლებელი გახდა აღტაცებული დავით გამცემლიძის, ვახტანგ მახნიაშვილის, დავით ყოლბაიას და სხვათა დაოკება, რომლებიც ბედნიერებითა და სიამაყით აღსავსენი მეცხრე ცაზე იყვნენ. ბატონი ადამ ხანუშკევიჩი კვლავ გაოცებული შლიდა ხელებს და ერთსა და იმავეს რამოდენიმეჯერ იმეორებდა: – ვიცი, მაგრამ მაინც დაუჯერებელია, რომ 21 წლის ასაკში დათო დოიაშვილმა ამგვარი გადაწყვეტისა და აზროვნების სპექტაკლი შექმნაო. ცნობილი პოლონელი მსახიობი დანიელ ოლბრიჟსკი აღფრთოვანებული გვეხვეოდა ყველას. პოლონელი ქართველოლოგი იან ბრაუნიც ვერ ფარავდა აღტაცებას. ბოლოს კი ადამ ხანუშკევიჩმა აღიარა, რომ მიუხედავად პოლონური თეატრის წარმატებებისა, დღეს ქართული თეატრი ერთ-ერთ წამყვან თეატრად მიმაჩნია მთელს ევროპაშიო.

შეზარხოშებულებმა ქართული სიმღერებიც შემოვძახეთ, რასაც უდიდესი აღფრთოვანება მოჰყვა.

მეორე დღეს, ვარშავის ქალაქის პრეზიდენტმა, ბატონმა ანჯეი შიმკომ, თავის რეზიდენციაში მიგვიწვია და მადლობა გადაგვიხადა ესოდენ წარმატებული გასტროლისათვის. ქალბატონ ქეთი დოლიძეს კი საქართველოსა და პოლონეთს შორის ნაყოფიერი მუშაობისათვის გადაეცა ვარშავის 400 წლისთავის სამახსოვრო მედალი. ეს ჯილდო იმით არის აღსანიშნავი, რომ მისი პირველი მფლობელი გახლავთ ამჟამინდელი რომის პაპი, წარმოშობით პოლონელი იოანე პავლე II. ქალაქის საბჭოს დეპუტატმა ანჯეი გოლიმონტმა მოგვატარა ძველი და ახალი ვარშავის ღირსშესანიშნაობანი.

საღამოს, წარმატებებითა და განცდილით დატვირთულნი, ჩვენივე ავტობუსით კვლავ პრაღის გზას ვადგევართ. აქვე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ჩვენი მძღოლი იოზეფი, რომელმაც ორი მოგზაურობის დროს პროფესიონალიზმის და პასუხისმგებლობის შესანიშნავი გაკვეთილები ჩაგვიტარა ქართველებს.

პრაღა ისევ ქართველ ხელოვანთაგან მოხიბლული შეგვეგება. ქალბატონ ნანა იოსელიანის წარმატებული ერთდროული სეანსი, ვახტანგ კახიძის შესანიშნავი დირიჟორობა, ქართული ლეკურის შთამბეჭდავი აკორდიც შემხდარა.

დასრულდა საქართველოს დღეები ჩეხეთში, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველ ხელოვანთა უდიდესი ნიჭიერება და ავტორიტეტი. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქართული ხელოვნება სრულიად კონკურენტუნარიანია მთელს მსოფლიოში, რაც ერის მაღალ ინტელექტს და შესაძლებლობებს ადასტურებს.

არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ფირმა „PP Production“-ის დიდი წვლილი ჩეხების მხრიდან და საქართველოს ღია საზოგადოება სოროსის ფონდი, ვის მხრებზეც გადაიარა საქართველოს დღეებმა ჩეხეთში და, ბოლოს, ჩვენი პროდიუსერი ეკა მაზმიშვილი, რომელიც მთელი მოგზაურობის განმავლობაში ჩვენი პატრონი და თავგამოდებული ქომაგი გახლდათ.

...დასრულდა ფოთოლცვენის დღესასწაული. ჩემს ახალგაზრდობაში, თბილისში, ჩამოცვენილ ფოთლებს ადგილ-ადგილ აგროვებდნენ და წვავდნენ. საოცარი სურნელი იფრქვეოდა მთელ ქალაქში. საოცარი სურნელი და სითბო გამოგვყვა ჩვენც ამ შესანიშნავი მოგზაურობიდან.

ფოთოლცვენის თვე იდგა ჩეხეთსა და პოლონეთში, საქართველოში წმიდისა დიდებულისა და ძლევაშემოსილისა გიორგის თვე, გიორგობა.

მისი მადლი და მფარველობა არ მოკლებოდეს ქართულ ხელოვნებასა და მთლიანად საქართველოს.

ამინ!

**ჯემალ მონიავა**

თბილისი — პრაღა — ვარშავა — თბილისი

14-24 ნოემბერი

## სახელმწიფო და სულიერება

# „უდიდესი... იყოს როგორც უმცირესი“

## მართლმადიდებლობა და დემოკრატია

მართლმადიდებლობისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს, ამიტომ, ალბათ, უპრიანი იქნება მკითხველის ყურადღება ამ საკითხზე შევაჩეროთ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვსაუბრობთ დემოკრატიაზე მართლმადიდებლურ მოძღვრებაში, მხედველობაში არა გვაქვს დემოკრატია იმ ფორმით, რომლითაც იგი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებსა და სამოქალაქო საზოგადოებებში გვხვდება. ამას ორი მიზეზი აქვს.

ჯერ ერთი, უსაფუძვლო და მცდარია სამოქალაქო საზოგადოებაში დანერგილი ყველა დემოკრატიული პრინციპი თუ პროცედურა ეკლესიაში ავტომატურად გადავიტანოთ, რადგან თავისი დანიშნულებით, ფუნქციებით, არსით თუ წარმომავლობით ეკლესია სახელმწიფოსაგან დიდად განსხვავდება.

გარდა ამისა, შეუძლებელია მართლმადიდებელ ეკლესიაში ყველა დემოკრატიული პრინციპი ოდითგანვე ისეთი განვითარებული სახით შეგვხვედროდა, როგორითაც თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებშია, რადგან აქამდე ეს ქვეყნებიც ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი გამოცდილებისა და მუდმივად ცვალებადი გარემოებების პირობებში მივიდნენ.

როდესაც ვსაუბრობთ დემოკრატიაზე მართლმადიდებელ ეკლესიაში, მხედველობაში გვაქვს თანასწორობის, თავისუფლების, სამართლიანობის და ა. შ. ის იდეები, რომლებიც ქრისტემ იქადაგა (რომლებიც, ფაქტობრივად, დემოკრატიის ძირითად პრინციპებსაც წარმოადგენენ) და ის ფორმები, რომლებითაც ეს იდეები, მართლმადიდებელ ეკლესიაში კონკრეტულად ხორციელდება.

ქრისტემ და მისმა უშუალო მიმდევრებმა, მოციქულებმა, თანასწორობის იდეა განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანეს. თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქრისტე და მოციქულები მდაბიოთა წრიდან იყვნენ, ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივია. ამავე დროს, იესომ არ მოისურვა, რომ მის მიმდევართაგან რომელიმეს სხვებზე მაღლა დაეყენებინა თავი: „თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავრებად მიჩნეული მბრძანებლობენ მათზე, და დიდებულნი ძალადობით განაგებენ მათ, ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე“ (მარკოზი 10, 43); „უდიდესი თქვენს შორის იყოს, როგორც უმცროსი, და წინამძღვარი – როგორც მსახური“ (ლუკა 22, 26); „თქვენ ყველანი ძმები ხართ“ (მათე 23,8) – მიმართავს მაცხოვარი თავის მოწაფეებს.

ახალი აღთქმა იმასაც უსვამს ხაზს, რომ ღვთის სიტყვის ქადაგებას რაიმე ძალდატანება არ უნდა ახლდეს თან: „მწყემსეთ ღმერთის სამწყსო, რომელიც თქვენს შორისაა, მაგრამ არა იძულებით, არამედ ნებით და ღმერთისათვის სათნოდ“ – შეაგონებს პეტრე მოციქული ხუცესებს (I პეტრ. 5,2).

თუკი საბერძნეთში, რომელსაც კლასიკური დემოკრატიის აკვნად მიიჩნევენ, მონები მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ და უუფლებონი იყვნენ, ქრისტიანობამ საზოგადოების ყველა ფენის, ყველა ერის ღვთის წინაშე თანასწორობა იქადაგა. მართალია, მან მონობის გაუქმებისათვის ბრძოლისაკენ არ მოუწოდებია (რადგან ქრისტიანობის მიზანი სოციალური რეფორმის განხორციელება კი არა, ჭეშმარიტების, სულის გადარჩენის გზის ქადაგება იყო), მაგრამ, ფაქტობრივად, მონობას რელიგიურ-ზნეობრივი საფუძველი გამოაცალა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე დემოკრატიის ნიმუშად მიჩნეული „დასავლეთის“ მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია პროტესტანტულმა რელიგიურმა მიმდინარეობამ. პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი განშტოების, კალვანიზმისათვის (რომელიც, თანამედროვე პირობებში სხვადასხვა სახესხვაობით გვხვდება) დამახასიათებელია ფატალიზმი, ანუ – რწმენა იმისა, რომ ღმერთს უკვე ადამიანის დაბადებამდე განსაზღვრული აქვს, ცხონდება ეს უკანასკნელი, თუ არა. თვით ადამიანს არაფერი შეუძლია გააკეთოს თავისი ცხონებისათვის. მას ისღა დარჩენია, იმედი იქონიოს, რომ სწორედ იგია ღვთის რჩეული და იგი ცხონდება. ამრიგად, ადამიანი, ფაქტიურად, უმწეო სათამაშოდაა წარმოდგენილი, რომელსაც ისე მოექცევიან, როგორც სურთ.

მართლმადიდებლობა ადამიანის ცხონებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას მის თავისუფალ ნებას ანიჭებს. მართლმადიდებლური სწავლებით, ღმერთს სურს ადამიანმა კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანი საკუთარი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე გააკეთოს. თავისუფალი ნება ღვთის მიერ ადამიანისათვის ბოძებული იმ საჩუქართაგანია, რომლის წყალობითაც ადამიანი „ღვთის ხატად“ იწოდება (გაზ. „მადლი“, 1993, №2 (68), გვ. 6) შემოქმედს არ სურს მისკენ მიმავალ გზაზე ადამის ძე ძალით დააყენოს, ამიტომაც ამბობს: „აჰა, კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ, თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას და კარს გამიღებს, შევალ მისას“ (იოანეს გამოცხადება 3.20).

ამრიგად, ადამიანის თავისუფალი ნების დაფასება და პატივისცემა მართლმადიდებლობის არსს წარმოადგენს, მის საფუძველშია ჩადებული.

გარდა ამისა, საყოველთაო თანასწორობის იდეის კონკრეტული გამოხატულება მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურაა. ერთი მხრივ, მოციქულთა 34-ე კანონის საფუძველზე, აქ დასაშვებია ყველა ერს თავისი უმაღლესი სასულიერო წარმომადგენელი ჰყავდეს, ანუ ადგილობრივი ეკლესიების ავტოკეფალიის უფლებაა აღიარებული. მეორე მხრივ, პატრიარქების უფლებებიც საეკლესიო კრებითაა შეზღუდული, რომელიც ეკლესიის, ასე ვთქვათ, უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს და მას პატრიარქის გადაყენებაც შეუძლია, ისევე, როგორც მისი არჩევა.

საქართველოს ეკლესიის უმაღლეს ორგანოს ამჟამად ეპისკოპოსთა საბჭო – წმ. სინოდი წარმოადგენს, მაგრამ ისტორიულად საეკლესიო კრებაში, როგორც უმაღლეს ორგანოში, მონაწილეობდნენ საპატრიარქოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის წარმომადგენლები, როგორც სასულიერო, ისე საერო პირები, მათ შორის, ქალებიც (მონაზვნები). ასე რომ, მართლმადიდებელ ეკლესიაში ისტორიულად „დემოკრატიული, წარმომადგენლობითი და არჩევითი პრინციპი მოქმედებდა“ (საღმრთო სჯული, თბილისი, 1993, გვ. 321).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში უკვე I საუკუნეში დაინერგა დემოკრატიის ის პრინციპები, რომლებიც მსოფლიოში განსაკუთრებით პოპულარული მხოლოდ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში გახდა. უფრო სწორად, მართლმადიდებლობამ შეინარჩუნა ის დემოკრატიული სულისკვეთება, რაც ქრისტეს მოძღვრებიდან გამოსჭვივის და, რომელიც პირველი ქრისტიანებისათვის იყო დამახასიათებელი. ამას ვერ ვიტყვით, მაგალითად, კათოლიციზმის შესახებ. როგორც ცნობილია, კათოლიციზმი ავტოკეფალიის პრინციპს არ აღიარებს; პაპი მთელი ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი, უმაღლესი კანონმდებელი და მოსამართლეა, რასაც მისი შეუმცდარობის დოგმატიც ემატება.

ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში დემოკრატიის სამართლიანი პრინციპებიდან გადახვევები არ ხდებოდა, ან არ ხდება, მაგრამ ცალკეული უღირსი პირების დანაშაული არ შეიძლება მთლიანად მართლმადიდებელ ეკლესიასა, თუ ქრისტეს მოძღვრებას მივაწეროთ.

შესაძლოა, მართლმადიდებელი ეკლესიის არადემოკრატიულობის დასამტკიცებლად, განსაკუთრებით, საბჭოური იდეოლოგიით გამსჭვალულებმა, მის მიერ მონარქიის მხარდაჭერა დაასახელონ. მაგრამ, ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმა ექნება მას, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისთვისაა მოწოდებული.

რომ აღარაფერი ვთქვათ თანამედროვე აბსოლუტურ მონარქიებზე, რომელთაგან ბევრში (განსაკუთრებით, ნავთობით მდიდრებში) მოსახლეობის კეთილდღეობა ნებისმიერ რესპუბლიკაზე უკეთაა უზრუნველყოფილი, საქართველოს მაგალითის გახსენებით დავკმაყოფილდებით. აქ კი „ოქროს ხანა“ სწორედ მონარქიის დროს, XII-XIII სს-ში იყო. მემატიანეთა სიტყვით, ამ პერიოდში „აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“ და „გააზნაურდეს ქვეყანისა მოქმედნი“ (ქართული პროზა, ტ. 3, თბილისი 1982, გვ. 157, 186).

ასე რომ, მონარქია სულაც არ ნიშნავს ისეთ წყობას, რომლის დროსაც რიგითი მოქალაქენი დაჩაგრულნი არიან.

ამასთანავე, მართლმადიდებლური მოძღვრებისათვის სახელმწიფოს ფორმას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხარს უჭერს სახელმწიფოს, როგორც ასეთს, სახელმწიფოებრივ წესრიგს, რომელსაც შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო ხელისუფლება უზრუნველყოფდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მისი ღირსეული წარმომადგენლები მუდამ ცდილობდნენ ეკლესიაში ზემოაღნიშნული დემოკრატიული პრინციპები შეენარჩუნებინათ და ისინი სახელმწიფოშიც განემტკიცებინათ. მაგალითად; VIII-IX სს-ის დიდი ქართველი სასულიერო და, ამავე დროს, საერო მოღვაწე, გრიგოლ ხანძთელი ყველა წოდების წარმომადგენელს იღებდა თავის მონასტერში. მის თანამედროვე ხელისუფალთ იგი მოუწოდებდა: „ნუ თვალხმით მჯით, არამედ სა-იმჯელი სამართალი საჯეთო... „კეთილთაგან თქვენთა გლახაკნი... ნაწილეულ არიედ მარადის... გლახაკთა ნაწილი თქვენ მიერ განწესებულ არს“ (ქართული მწერლობა, ტ. 1, თბილისი, 1987. გვ. 567).

საბჭოური ხანის ქართული ისტორიოგრაფიაც აღიარებს, რომ XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, გიორგი მთაწმინდელი დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო. ივ. ჯავახიშვილის თქმით, გიორგი მთაწმინდელმა „ქართული ეკლესიის წოდებრიობას შეუტია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა“ (ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985, გვ. 71).

გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მთაწმინდელის საქმის გამგრძელებლად გვევლინება დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც წელში გატეხა ეკლესიაში დიდგვაროვან ფეოდალთა წარმომადგენლების ბატონობა, მათ მიერ უმაღლეს სასულიერო წოდებათა მემკვიდრეობითი ფლობა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბილისი, 1979, გვ. 214-216).

ბოლოს, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) დემოკრატიული იდეების – ძმობის, ერთობის, თავისუფლების აქტიური მქადაგებელი იყო, რაც მის ცნობიერებაში, განუყოფელი გახლდათ მართლმადიდებლური რწმენისაგან. სწორედ იგი იდგა XX ს-ის დასაწყისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთანაც. ეს პიროვნება უკანასკნელ წლებში ქართულმა ეკლესიამ წმინდანად რომ შერაცხა, ალბათ, ესეც საყურადღებოა.

რაც შეეხება დღევანდელ მართლმადიდებელ ეკლესიას, საქართველოში იგი პრეზიდენტსა და პარლამენტს რომ აკურთხებს, დემოკრატიისადმი მართლმადიდებლობის დამოკიდებულების ნათელსაყოფად, ალბათ, ესეც საკმარისია.

მთავარი მაინც ის არის, რომ უმაღლესი ზნეობის, პატიოსანი მოქალაქეობის გარეშე იმ იდეალების რეალიზაცია, რაც დემოკრატიასა, თუ სახელმწიფოს სხვა ფორმას გააჩნია, შეუძლებელია. ზნეობის სადარაჯოზე კი საქართველოში მართლმადიდებლობა ოდითგანვე იდგა. ისღა დაგვრჩენია, გამოვიყენოთ მისი გამოცდილება.

**ვახტანგ კოპალაძე.**

## მადლი

# როცა ადამიანებს ახსოვხარ



ქალბატონ დიანა სანიშვილს რომ უყურებთ, სულისშემძვრელი მოვლენები ისევ თვალწინ გვიდგას... საქართველოში წინა წლებში დატრიალებულ ტრაგედიას თან დაერთო მისი მეუღლის უდროოდ გარდაცვალების ამბავი... და პატარა გიორგისთან ერთად დეპრესიაში მყოფი ახალგაზრდა ქალი ბელგიელი ადამიანების სითბომ და გულისხმიერებამ გამოიყვანა მძიმე სულიერი მდგომარეობიდან.

გიორგი მალე დაეუფლა ფრანგულ, ინგლისურ ენებს. ბიჭი ახლა საკმაოდ განაყრილია და დედას ეამაყება, რომ სწორი გზით მიიკვლევს ცხოვრებას. გიორგის ევროპაში უკვე მრავალი მეგობარი ჰყავს და დიდ პატივს სცემს მათ ადათ-წესებს.

ქალბატონი დიანა ყოველდღე დადიოდა ეკლესიაში და იქ ლოცულობდა შვილისთვის, მშვიდობიანი მომავლისთვის... ფიქრობდა, რით გამოსდგომოდა გაჭირვებაში მყოფ ახლობლებს, მეგობრებს, თანამემამულეებს.

გამოსავალი ისევ უფალმა შთააგონა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს, რადგან ეკლესია ძალიან დაეხმარა მას თავის ძალებში დარწმუნებულიყო. გადაწყვიტა ტანსაცმელი შეეგროვებინა და აქ, სამშობლოში, უპოვართათვის უფასოდ დაერიგებინა.

ამის დაწყება არ იყო იოლი, მხარში ამოუდგნენ მეგობრები – ენი და ერვინ პერსონსები, მარსელ, იკა სმეტსები, ფრანსუაზა ჰანსენის ოჯახი... მათი დახმარებით შეძლო იმხელა ტვირთის შეგროვება, რომ რამდენიმე გზობა დასჭირდა ბელგიიდან აქამდე მის ჩამოტანას...

ტვირთი ჩამოჰქონდა საკუთარი „რაფის“ ტიპის ავტომანქანით და პირდაპირ ურიგებდა უპატრონო ბავშვთა სახლებს, სასტუმროებში ლტოლვილებს, მოხუცებს, ობლებს, მრავალშვილიან ოჯახებს.

„...მადლობას გიხდით აღსაზრდელებისათვის ტანსაცმლისა და ტკბილეულის დარიგებისათვის“, – წერს წყნეთის ბავშვთა სახლის დირექტორის მოადგილე ნ. ნარიმანიძე.

„გმადლობთ სოფელ სამღერეთში სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარებისათვის“ – თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ბექაური.

„... დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ დიანა სანიშვილს და ბატონ თამაზ აზაურაშვილს იმ ჰუმანური დახმარებისათვის, რომელიც მათ ჩამოიტანეს ბელგიიდან.

– „გმადლობთ, ბელგიელებო“ – საგარეჯოს რაიონის კოჭბაანის ადგილობრივი თვითმმართველობა...



ქალბატონმა დიანამ ჰუმანური ტანსაცმელი რამდენჯერმე დაურიგა სასტუმროებში „ივერიაში“, „აფხაზეთში“ მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს. სულ კი ოთხი წლის განმავლობაში მან უკვე 6-ჯერ ჩამოიტანა ჰუმანური დახმარება.

დიდი სითბოთი ლაპარაკობს ბელგიელებზე, აღფრთოვანებულია მათი ყურადღებითა და იმ თვისებით, რომ შეუძლიათ დაუფიქრებლად გაუწოდონ ხელი მოყვასს ისე, შეიძლება ბევრი რამ არ იცოდნენ ჩვენს ქვეყანაზე, მათთვის ასე შორეულ საქართველოზე.

ღმერთმა ქნას, მალე აღარ დასჭირდეს ჩვენს ხალხს სხვისი დახმარება. ქართველმა კაცმა კარგად იცის მადლის დაფასება.

ამ ნაზ, მშვენიერ ქალბატონს – დიანა სანიშვილს კი ახლაც ერთი სული აქვს ისევ გაემგზავროს ბელგიაში და მათაც გაუნაწილოს ის დიდი სიხარული და მადლიერების გრძნობა, რაც ასე უხვად მიიღო მან თანამემამულეთაგან.

კარგია, როცა ადამიანებს ახსოვთ შენი სიკეთე და არ გივიწყებენ.

**ლია ჭიღლაძე.**

**სურათებზე:** დიანა სანიშვილი წკრიალაშვილების მრავალშვილიან ოჯახში; წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.

საქართველოს რესპუბლიკა
№307, კვირა, 7 დეკემბერი, 1997 წელი.

## რეფორმა

**„ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პროგრამის მთავარი ორიენტირია მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალური გაუმჯობესება და სიღატაკის დაძლევა, რაც უზრუნველყოფილი იქნება წარმოების რეაბილიტაციისა და დასაქმების ამაღლების საფუძველზე შემოსავლების არაინფლაციური ზრდის, სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის მინიმალური გარანტიების შექმნის, საკომპენსაციო დახმარებისა და შემწეობების გაცემის არსებული სისტემის ძირეული გარდაქმნის, სოციალური პროგრამების დაფინანსების სისტემის გაფართოებისა და საპენსიო რეფორმის განხორციელების გზით“.**

**ედუარდ შევარდნაძე.**

*ქვეყანა ფეხზე დგება, ქრილობებს იშუშებს, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თანდათანობით ხორციელდება რეფორმები. ამ მხრივ გამონაკლისს არც სოციალური სფერო წარმოადგენს. ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში სოციალური პრობლემა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა.*

*მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე განიხილეს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის თენგიზ გაზდელიანის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის რეფორმის თაობაზე, რომელსაც მთავრობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. პრეზიდენტის ბრძანებულება ამ საკითხზე მიღებულ იქნა ამა წლის 17 ოქტომბერს.*

*ბრძანებულების შესაბამისად, 1998 წლის 1 იანვრიდან პენსიებისა და დახმარების დანიშვნა-გაცემის, ინვალიდობის დონის განსაზღვრის, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის საკითხებზე გადაწყვეტილებების დამტკიცება დაევალა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს.*

*იწყება სოციალური რეფორმირების ახალი ეტაპი. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორს ოთარ ხუფენიას.*



# იმოქმედებს ახალი საპენსიო სისტემა

***— ბატონო ოთარ, რამ გამოიწვია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის ასეთი რეფორმა?***

— უპირველესად მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანებზე დაფუძნებული სახელმწიფო ფონდი, როგორც დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა, საქართველოში 1991 წელს ჩამოყალიბდა. მისი მიზანია დაზღვევის სახსრების ერთ სისტემაში გაერთიანება, რეფორმის წარმატებით განხორციელება, უმთავრესი მოვალეობა კი სადაზღვევო გაცემულობათა დაფინანსებაა. ამავდროულად, მოქმედებას განაგრძობს ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები, რომელთა ფუნქციაა პენსიებისა და სხვა სადაზღვევო გაცემულობათა დანიშვნა, საჭირო სახსრებზე განაცხადის განსაზღვრა, საფოსტო და საბანკო დაწესებულებათა მოვალეობა კი ამ გაცემულობათა ადრესატამდე მიტანაა.

რაც შეეხება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის რეფორმის შესახებ ბრძანებულებას, იგი კონსტიტუციური ნორმის ხორცშესხმაა, რომელიც მოსახლეობის სადაზღვევო, უპირველეს ყოვლისა, საპენსიო მომსახურების სრულყოფას შეუწყობს ხელს. საქართველო სოციალურად ორიენტირებული, საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო უნდა გახდეს. სოციალური ორიენტირებულობა უპირველესად მოსახლეობის სოციალური დაცვის იმგვარი მექანიზმის ჩამოყალიბებას ნიშნავს, რომელიც სადაზღვევო პრინციპზე იქნება დაფუძნებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყველა სადაზღვევო გაცემულობა, კერძოდ, დროებით შრომისუუნარობაზე, ინვალიდობაზე, დეკრეტულ შვებულებაზე, მყარ შრომისუუნარობაზე (ასაკობრივი პენსია) მოქალაქეებზე გაიცემა მხოლოდ სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის საფუძველზე.

***— იქნებ განმარტოთ, რას ნიშნავს სადაზღვევო სტაჟი და სადაზღვევო შენატანი?***

— სადაზღვევო სტაჟად ითვლება ადამიანის ცხოვრების ის პერიოდი, როცა იგი მუშაობდა, იღებდა ხელფასს და სადაზღვევო შენატანს იხდიდა. რაც შეეხება სადაზღვევო შენატანს, ეს არის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში საკუთარი შრომითი ანაზღაურებიდან გამომდინარე კანონით დადგენილი სადაზღვევო ტარიფით გადახდილი სახსრები.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს პენსიებსა და სხვადასხვა სოციალურ გაცემულობებს ხელისუფლება ნიშნავდა. ვინაიდან, საქართველოს ხელისუფლებამ ახალი სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს აგების მოდელი შეიმუშავა, ბუნებრივია, არ შეიძლება იგი სოციალური დაცვის იმ მოდელითა და მექანიზმით მოქმედებდეს, რომელიც მას საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჰქონდა.

საქართველოში სავალდებულო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემა იმოქმედებს. ე.ი. მოქალაქე დაზღვეული იქნება თავისი შრომითი საქმიანობის პერიოდში და გადაიხდის სადაზღვევო შენატანს. საპენსიო ასაკს რომ მიაღწევს, იგი მიიღებს სადაზღვევო გაცემულობას, რომელიც მან საკუთარი სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის საფუძველზე გამოიმუშავა.

დასავლეთის სახელმწიფოებში პენსიების დანიშვნის იგივე პრინციპებია დამკვიდრებული. სოციალური რეფორმის განხორციელება მნიშვნელოვანი ეტაპი, სოციალური დაცვის ახალი გარანტიების შემქმნელია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად ისხამს ხორცს.

***— რა დადებით შედეგებს მივიღებთ ახალი სისტემის ამოქმედებით?***

— რეფორმის შემდეგ იმოქმედებს სავალდებულო სოციალური დაზღვევა და არასახელმწიფო სადაზღვევო სისტემა. სავალდებულო სოციალური დაზღვევის ტარიფებსა და სადაზღვევო შენატანს განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელსაც კანონის ფორმა ექნება, არასახელმწიფო სადაზღვევო სისტემას კი — კერძო საპენსიო ფონდის დამფუძნებელი. აღნიშნულ ფონდში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარება მოქალაქეს საშუალებას მისცემს, დამატებით დაიზღვიოს თავი და საპენსიო ასაკს რომ მიაღწევს, მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

სოციალურ სფეროში ადამიანთა დაზღვევა აუცილებელია, ეს იქნება ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი პენსიების დიფერენცირებისა. ყველა ღონისძიება მიმართულია იქით, რომ სადაზღვევო გაცემულობანი იყოს ზრდადი, რაც შეეხება ამჟამად პენსიაზე მყოფ პენსიონერებს, მათი პენსიების გადიდება პერიოდულად განხორციელდება.

***— როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან საპენსიო ასაკის მიღწევისას უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეები?***

— უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეები დღეს მოქმედი კანონმდებლობით უმუშევრის შემწეობას იღებენ. საქართველოში ჯერ საკანონმდებლო დონეზე არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ვფიქრობ, მისაღებია ასეთი მოსაზრება. მოქალაქე, რომელიც უმუშევრის შემწეობას ღებულობს, უნდა იხდიდეს სოციალური დაზღვევის შენატანს, რათა სადაზღვევო სტაჟი არ გაუწყდეს. ასეთი რამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია დანერგილი. არადა, საპენსიო ასაკს მიღწეული მოქალაქე კარგავს თავის სოციალურ გარანტიებს.

***— დღეს, სამწუხაროდ, ერთნაირი პენსია აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს და იმათაც, ვისაც არასდროს უმუშავია. რეფორმის შემდეგ კვლავ ასე იქნება?***

— საქართველოს პარლამენტმა უპირველესად, უნდა მიიღოს კანონი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესახებ, შემდეგ არასახელმწიფოებრივი სოციალური დაზღვევისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე, ბიუჯეტის გაძლიერების შესაბამისად კი მოსახლეობის სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. მესამე დამამთავრებელმა ნაკადმა უნდა უზრუნველყოს პენსიების დიფერენცირება.

ბუნებრივია, დღეს პენსიონერები არ არიან დამნაშავენი იმაში, რომ მათ შრომითი მოღვაწეობა დაზღვევის სისტემის არსებობის პირობებში მოუხდათ. ამას გაითვალისწინებენ გამონაკლისის სახით. ასეთების მიმართ ახალი მოდელის მოთხოვნები არ განხორციელდება და სოციალური ჯგუფების დანაწევრება მათი მდგომარეობის მიხედვით იწარმოებს.

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებას, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებასაც, შეუძლია პენსიების ემისიის ხარჯზე გადიდება, რასაც შედეგად მოჰყვება ინფლაცია და პენსიონერთა კიდევ უფრო გალატაკება. რა თქმა უნდა, ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს.

მოვა დრო და საქართველოში პენსიების დანიშვნა კომპიუტერული სისტემით იწარმოებს. წამების განმავლობაში მოხდება ჩვენი სადაზღვევო სტაჟისა და შენატანის გაანგარიშება, მოისპობა საპენსიო გათანაბრება. ვინც მეტი იმუშავა და მეტი სადაზღვევო შენატანი შეიტანა, იმას გაცილებით დიდი პენსია დაენიშნება. კომუნისტური წყობის დროს არსებობდა პერსონალური პენსიები, ადგილობრივი, რესპუბლიკური, საკავშირო მნიშვნელობისა. არ შეიძლება დღეს ასეთი სისტემა მოქმედებდეს. რეფორმის შემდგომ პენსიების დანიშვნა მხოლოდ სადაზღვევო საფუძველზე განხორციელდება. პენსიის როლი აუცილებლად ამაღლდება.

რეფორმის განხორციელების მიზნით, გაიმართა რესპუბლიკური თათბირი. გადავწყვიტეთ, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების ქონება ბალანსიდან ბალანსზე გადაეცემათ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს.

ბევრმა შეიძლება ნაადრევად ჩათვალოს ასეთ სისტემაზე გადასვლა საქართველოში, მაგრამ ქვეყანამ გასავლელი გზა უნდა გაიაროს. სწორედ ამ მოდელმა უნდა უზრუნველყოს ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ადრე, ჰიპერინფლაციისა და ეკონომიკის დეგრადაციის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა. ის სულისკვეთება, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში, საშუალებას იძლევა, რეფორმირების ახალი ეტაპი დავიწყოთ.

ესაუბრა
**მაია ასაკაშვილი.**

**სურათზე:** სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ოთარ ხუფენია.

ვენალი სანაიას ფოტო.

## გვწერენ

### ომის ინვალიდები მადლობელნი არიან

ბევრი რამ კეთდება ახლა ჩვენში ომის ინვალიდთა სასიკეთოდ. ამიტომ მინდა ომის ინვალიდთა სახელით უღრმესი მადლობა გამოვთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ წყალტუბოს სამხედრო სანატორიუმის მუშაკებისადმი, რომელთაც ექიმი პოლკოვნიკი ზურაბ ხარატიშვილი მეთაურობს. იგი 1993 წლიდან უდგას სათავეში სანატორიუმის კოლექტივს, რომელიც მუდამ ზრუნავს დამსვენებელთა პირობების გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებით კარგია საექიმო მომსახურება. სამადლობელი სიტყვებით გვინდა აღვნიშნოთ სასადილოს მომსახურე პერსონალის საქმიანობაც. წესრიგია დამყარებული ინვალიდების აბაზანებამდე მიყვანა-გადმოყვანის ორგანიზაციაში. ამ საქმეს პატრონობს ავტობუსის ზრდილი მძღოლი მეელუდ ჯაკვიძე.

ყველაფრის აღნიშვნა, რასაც 20 დღის განმავლობაში ვხედავდით და ვგრძნობდით, შორს წაგვიყვანს. მინდა ყველას მადლობა მოვახსენო. მათი მუშაობა, მართლაც რომ, სამაგალითოა.

ომის ინვალიდების სახელით
**დიმიტრი სვანიძე,**
საგარეჯოს რაიონი.

### დიდი მადლობა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით დოლიძის ქუჩის სამი კორპუსის (№21, №22 და №16 ა) მცხოვრებლების სახელით დიდი მადლობა მინდა გადავცე: ქალაქ თბილისის მერიას, თბილისის ვიცე-მერს, მუნიციპალიტეტის პრემიერს ზურაბ ბიბილეიშვილს, აპარატის ხელმძღვანელს სიმონ ქურციკიძეს და მუნიციპალური საწარმო „თელასის“ გენერალურ დირექტორს თეიმურაზ ჭინჭარაულს იმ გულისხმიერებისა და ზედმიწევნით დიდი ოპერატიულობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ზემოაღნიშნული კორპუსების ელექტრომეურნეობის მოსაწესრიგებლად.

სამი თვის მანძილზე შეუძლებელი გახდა ელემენტარული სამუშაოების ჩატარება (ქვესადგურში სათანადო დატვირთვის შესაბამისი დენის ძალის გამტარი დამცველებისა და დენმკვეთის დაყენება) და დადგენილი გრაფიკის მიხედვით მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, რაც ბატონმა ჭინჭარაულმა 6 საათში მოაწესრიგა.

ბატონებო! დიდი მადლობა თქვენ.

ღრმა პატივისცემით,
**ალბერტ რურუა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი


ჭადრაკი

## ხვალ გრონინგენში

სავეიმოდ გაიხსნება 1997-1998 წლების მსოფლიო ჩემპიონატი (ფიდეს ვერსიითა და პლეი-ოფის სისტემით) ვაჟთა შორის, რომელშიც 98 მოჭადრაკე იასპარეზებს. ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძოლებენ ქართველი დიდოსტატებიც – ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე.

პირველი ტურის პირველი პარტია 9 დეკემბერს გათამაშდება. ამ დღეს გიორგაძე (რეიტინგი 2625) 14 წლის ფრანგ ვუნდერკინდს ეტიენ ბაკროს (2545) შეხვდება. მასთან ერთად სტარტს აიღებს კიდევ 66 მოჭადრაკე, რომლებსაც შედარებით დაბალი რეიტინგი აქვთ. პირველ ტურში გამარჯვებულ 34 მოჭადრაკეს მეორე ტურში, რომელიც 11 დეკემბერს დაიწყება, სუპერრეიტინგის მქონე 28 დიდოსტატი დაემატება. ბაკროსთან გამარჯვების შემთხვევაში გია გიორგაძეს ოცდამეთორმეტედფინალში ინგლისელი მაიკლ ადამსი (2680) ელოდება.

ვლადიმირ კრამნიკმა უარი განაცხადა ჩემპიონატში მონაწილეობაზე, ამიტომ მისი ადგილი დაიკავა ზურაბ აზმაიფარაშვილმა (2650). იგი მეორე ტურიდან ჩაებმება ჩემპიონობისათვის ბრძოლაში. მისი მეტოქე იქნება უნგრელ პეტერ ლეკოსა (2635) და გერმანიის მკვიდრ რომან სლობოდიანს (2550) შორის გამარჯვებული.

ჩემპიონატის შვიდი ტური გრონინგენში გაიმართება 9 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით. პირველ ექვს ტურში მეტოქეები ითამაშებენ პლეი-ოფის სისტემით ორი პარტიისგან შემდგარ მიკრომატჩებს (ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულს გამოავლენს 2 ოცდახუთწუთიანი პარტია). მეშვიდე ტურში შემორჩენილი ორი მონაწილე ოთხ პარტიას ითამაშებს. აქ გამარჯვებული გაისად, 2 იანვრიდან 9 იანვრის ჩათვლით, ლოზანაში შეხვდება ანატოლი კარპოვს და მათ შორის გამართული ექვსპარტიიანი მიკრომატჩი ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს დაასახელებს.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდია ხუთი მილიონი ამერიკული დოლარი, რომელიც შემდეგნაირად განაწილდება: პირველ ტურში დამარცხებულს გადაეცემა 6 ათასი დოლარი, მე-2 ტურში დამარცხებულს – 12 ათასი, მესამეში – 24 ათასი, მეოთხეში – 48 ათასი, მეხუთეში – 96 ათასი, მეექვსეში – 192 ათასი, მეშვიდეში – 375 ათასი, მერვეში – 768 ათასი, ხოლო სუპერფინალში გამარჯვებული ჩემპიონის ტიტულთან ერთად მილიონ 370 ათასი დოლარს მიიღებს.

ხვალვე გრონინგენში იწყება პრეტენდენტ ქალთა ტურნირიც. მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგართან თამაშის უფლების მოსაპოვებლად იბრძოლებენ: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო გურიელი (ყველა – საქართველო), ქეთევან პახიანი-ზერსინსკა (გერმანია), სე ძიუნი (ჩინეთი), პია კრამლინგი (შვედეთი), ალისა მარიჩი (იუგოსლავია), ალისა გალიამოვა (რუსეთი) და ქოაკინ პენგი (ჰოლანდია).

პრეტენდენტთა ტურნირი გამოავლენს ორ გამარჯვებულს, რომლებიც ერთმანეთთან ითამაშებენ 10 პარტიას. უძლიერესი ჟუჟა პოლგარს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს შეეცილება.

თუ ეს 10 პარტია დამთავრდება საყაიმო ანგარიშით – 5:5, მაშინ დაინიშნება ორი პარტია შემცირებული დროით – ოცდათხუთმეტ-ოცდათხუთმეტ წუთს პლუს 10-10 წამი თითო სვლაზე. აქაც თუ ყაიმი აღინიშნა, კიდევ ორ პარტიას ითამაშებენ მეტოქეები შემცირებული დროის კონტროლით. ამანაც თუ ვერ უშველა საქმეს, მაშინ დაინიშნება ხუთ-ხუთწუთიანი ბლიც-პარტიები პირველ გამარჯვებამდე.

რაც შეეხება საერთოდ დროის კონტროლს ქალთა ტურნირზე, იგი ჩვეულებრივია – 2 საათი პირველ 40 სვლაზე, 1 საათი – მომდევნო 20 სვლაზე და შემდეგ ნახევარი საათი პარტიის დასამთავრებლად.

ვაჟთა პლეი-ოფებში კი დროის კონტროლი განსხვავებულია: პირველ ორმოც სვლაზე მეტოქეებს ეძლევათ 100-100 წუთი, მომდევნო ოც სვლაზე – 50 წუთი და პარტიის დასაბოლოვებლად 10 წუთი, რასაც დაემატება 30-30 წამი თითოეული სვლისთვის.

მაშ ასე, ხვალ გრონინგენში აღგილობრივი დროით 20 საათზე გაიმართება ჩემპიონატის საზეიმო გახსნა და ფიგურების ფერთა კენჭისყრა.

წარმატება ვუსურვოთ ქართველ მოჭადრაკეებს.

ვაჟა დანელია.

ჭიდაობა

## გამარჯვებულს პრიზად — ცხვარი

გუშინ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს საჭიდაო დარბაზში დამთავრდა დედაქალაქის ფალავნობისთვის გამართული ორთაბრძოლები ქართულ ჭიდაობაში.

ჯერ წონითი კატეგორიების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები: 80 კილოგრამში ყველას აჯობა ზაზა კაპანაძემ, 90 კილოგრამში — გელა ჭურჭელაურმა, 100 კილოგრამში ტოლი არ ჰყავდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობის ჩემპიონს გია გუგავას, ხოლო მძიმე წონაში — ზვიად წიკლაურს.

ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა თბილისის ფალავნობისთვის გამართული შერკინებები. ფინალში ჭურჭელაურმა სძლია კაპანაძეს და მოიპოვა მთავარი პრიზი... ცხვარი.





**სურათებზე:** თბილისის ფალავანი გელა ჭურჭელაური პრიზით; ჭიდაობის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კალათბურთი

## ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან

ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წლევანდელი ციკლი გუნდებმა 3-3 თამაშით ამოწურეს. „E“ ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრებიც თამაშობს, ევროპის ვიცე-ჩემპიონებმა – იტალიელებმა მესამე მატჩიც მოიგეს, ამჯერად შვედებს დაამარცხეს ფარ-ხმალი – 92:81 და თურქების მსგავსად 6 ქულით გათამაშებას ლიდერობენ. ჩვენმა მძლეველებმა ჩეხებმა შინ ლატვიელებსაც მოუგეს – 77:69 და ხუთი ქულით მესამე ადგილზე იმყოფებიან.

სამი ტურის შემდეგ „E“ ჯგუფში გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| . | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 0 | 255:195 | 6 |
| იტალია | 3 | 0 | 272:225 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 207:211 | 5 |
| შვედეთი | 1 | 2 | 218:242 | 4 |
| საქართვ. | 0 | 3 | 226:235 | 3 |
| ლატვია | 0 | 3 | 227:257 | 3 |

თამაშები გაისად განახლდება. 25 თებერვალს საქართველოს ნაკრები სტუმრად ითამაშებს ლატვიელებთან, შვედები ჩეხებს უმასპინძლებენ, თურქები – იტალიელებს.

**A ჯგუფში** 6 ქულით დაწინაურდა სლოვენიის ნაკრები. მას თითო ქულით ჩამორჩებიან საბერძნეთისა და გერმანიის ეროვნული გუნდები.

**B ჯგუფში** ქულათა მაქსიმალური მარაგით ლიდერობა ხელთ იგდეს რუსებმა, რომლებსაც 5-5 ქულით კვალში მისდევენ უნგრელები და მაკედონიელები.

**C ჯგუფს** ორი წინამძღოლი ჰყავს – ესპანეთი და ისრაელი. ისინი უდანაკარგოდ ასპარეზობენ და უახლოეს მდევრებსაც ორ-ორი ქულით უსწრებენ.

**D ჯგუფში** ჯერჯერობით პირველია ბოსნიის ნაკრები. იგი დაუმარცხებლად იბრძვის. თითო წაგებით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ლიტვა და ხორვატია.

ზემოთ დასახელებული გუნდებიც თავიანთ ორთაბრძოლებს 25 თებერვალს განაახლებენ.

ლევსო ცინცაძე.

ფარიკაობა

## თასის გათამაშება უთასოდ

თბილისში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ფარიკაობაში. საასპარეზოდ სამი ქალაქის 150-მდე სპორტსმენი გამოვიდა. ხმალში ტოლი არ ჰყავდა ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილეს თბილისელ არჩილ ლორთქიფანიძეს. რაპირაში უძლიერესნი იყვნენ ასევე თბილისელები ხათუნა ჭუმბურიძე და ირაკლი ლაღანიძე, დაშნაში თასის მფლობელები გახდნენ ბათუმელი რუსუდან ზოზაია და თბილისელი ნოდარ ბარაქი.

სამწუხაროდ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა უსახსრობის გამო თასები ვერ შეიძინეს და გამარჯვებულები უპრიზოდ დატოვეს.

ყოველი მხრიდან

## კიდევ ერთი თავკაცი „გაასაღეს“

სამშაბათს ოდესაში მოკლეს ოდესის საკალათბურთო კლუბის „ბიპა-მოდა-სკა“-ს პრეზიდენტი არკადი ტაბაჩნიკი: ტრაგედია მოხდა ადრე დილით, როცა ქალაქში კარგად ცნობილი ბიზნესმენი მეუღლის თანხლებით თავისი სახლის მახლობლად დარბოდა. ვარჯიშის დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც გაისმა ავტომატის ჯერი – მორბენლები უსულოდ დაეცნენ. კილერმა კალაშნიკოვის ავტომატი იქვე მიაგდო და მიიმალა.

51 წლის არკადი ტაბაჩნიკი, უკრაინა-გერმანიის ერთობლივი საწარმოს „ბიპა-მოდას“ ხელმძღვანელი, კალათბურთის ნამდვილი ტრფიალი იყო. რამდენიმე წლის წინ მან შექმნა გუნდი, რომელმაც მაშინვე დაიწყო უკრაინული კალათბურთის ლიდერობისაკენ ლტოლვა. მარშან გუნდმა უკრაინის ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა, წლევანდელი ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ კი ერთპიროვნული ლიდერიცაა და ევროპის საკლუბო თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირზე ორი ტურით ადრე პლეი-ოფში ადგილიც გაინაღდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ზაფხულს კიევში ყოფნისას ფულის გამოძალვის მიზნით ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ა. ტაბაჩნიკი მოიტაცა. მისი გათავისუფლების შემდეგ გამტაცებლები დააპატიმრეს. ახლა ფიქრობენ, რომ ივნისის გატაცებაც და დეკემბრის მკვლელობაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

გასახსენებელია ისიც, რომ 1996 წელს კილერებმა მოკლეს კალათბურთის კიდევ ერთი მეცენატი, გამოჩენილი უკრაინელი ბიზნესმენი, დონეცკის კლუბის „შახტიორის“ პრეზიდენტი ალექსანდრ შჩერბანი. მკვლელები ჯერაც არ შეუპყრიათ.

ძნელი სათქმელია, ეს მკვლელობები დაკავშირებულია თუ არა კალათბურთთან, მაგრამ ის, რომ დიდ ზიანს აყენებს როგორც გუნდებს და მოთამაშეებს, ისე გულშემატკივრებს, ცხადზე უცხადესია.




ჩვევა თუ...

## სიგარეტი ჩვენი დახრჩობისა

ახლა ძნელი დასაჯერებელიცაა, რომ ოდესღაც გვხვდებოდა წარწერები: „თამბაქოს მოწევა აკრძალულია“, „აქ არ ეწევიან“... სიგარეტომანიამ ჩვენში ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ დროა, ახალ წარწერებზე გადავიდეთ: „თამბაქოს მოუწევლობა სირცხვილია“, „ის, ვინც არ ეწევა, სტუმრად ნუ გვეწვევა“.

საგანგაშოა, რომ სიგარეტის მწეველთა ასაკი თანდათან „ნორჩდება“ სქესისაგან დამოუკიდებლად. ეს ჩვენთან. იქ როგორღაა საქმე, საზღვარგარეთ?

აშშ-ში სპორტულ ობიექტებზე მოწევა, როგორც წესი, ყველგან აკრძალულია. 21 წლამდე ახალგაზრდებს სიგარეტს არავინ მიჰყიდის, ალკოჰოლიანი სასმელების შეძენას კიდევ მეტი ასაკი „სჭირდება“. არის შტატები, სადაც „თამასა“ 30 წლამდეა აწეული. გინდა დალევა? მეზობელ შტატში გაემგზავრე (ჩვენში, მაგალითად, იმერეთში რომ იყოს აკრძალული და კახეთში ნებადართული).

სოლტ-ლეიკ-სიტიში, სადაც 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართება, წესების მთელი პაკეტია შემოღებული, რომლის მიხედვითაც მოწევა და დალევა რეგლამენტებულია. ეს არის მხოლოდ, ახალგაზრდობის გამხრწნელი „სენი“ ასეთ მაგარ ჩარჩოებშიც პოულობს შესაღწევ ხვრელებს: „ნიუ-იორკ თაიმსის“ აზრით, ბოლო გამოკითხვამ უჩვენა, რომ ეროვნული კალათბურთის ასოციაციის მოთამაშეთა 70 პროცენტი მარიხუანას ეწევა...

თამაზ ეზანოიძე.

გვერდის რედაქტორი ანზორ ბასილაია.

## თითქმის დაუჯერებელი

# იქნებ დანარჩენი სურათებიც დაგვიბრუნდეს



წლეულს, 30 ნოემბერს, ზუსტად ოთხი წელი შესრულდა იმ ავბედითი დღის შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმიდან შვიდი სურათი გაიტაცეს. აქედან – სამი ფერწერული ტილო და სამიც გრაფიკა ახვლედიანისა გახლდათ, მეშვიდე სურათი კი ლადო გუდიაშვილის გრაფიკული ნამუშევარი იყო, 1924 წელს პარიზში შესრულებული. ელენე ახვლედიანის ნამუშევრებიდან ოთხი პარიზის პერიოდს მიეკუთვნებოდა, ხოლო ორი სამოციან წლებში იყო შესრულებული. ფერწერული ტილოები „პარიზის კუთხე“, „ქართული პეიზაჟი“ და „თელავი“ არაერთხელ ყოფილა ექსპონირებული პარიზის სხვადასხვა სამხატვრო გამოფენებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქ-ნ ელენეს უცხოეთში წაღებული ჰქონდა ქართული ყოფის ამსახველი ჩანახატები, როცა მშობლიური კუთხის ნოსტალგია მოეძალებოდა, იგი ამ ჩანახატების საფუძველზე ქმნიდა საქართველოს მშვენიერ სურათებს. აი, სწორედ ამ ხასიათის ნამუშევრებს მიეკუთვნება „თელავი“. თავისი მაღალმხატვრულობით იგი ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად იქნა აღიარებული არა მარტო პროფესიონალთა, არამედ ფართო საზოგადოებრიობის მიერაც. მთელი სურათი გაჟღენთილია ფერების უჩვეულო დინამიკითა და კომპოზიციის ხილაღით, რაც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. ასევე საინტერესოა „ქართული პეიზაჟი“, რომელიც უხვად ასხივებს პოეტურ სითბოს. რაც შეეხება „პარიზის კუთხეს“, აქაც თავისებურ მხატვრულ ხედვას ამჟღავნებს ავტორი. მნახველის წინაშე თავისი განუმეორებელი მომხიბვლელობით ცოცხლდება მარადიული ქალაქის ერთი ნაწილი.

მას შემდეგ, რაც ეს შვიდი ქმნილება გაიტაცეს ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმიდან, არაერთხელ აღძრულა საქმე საგამომძიებლო ორგანოებში, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდებოდა. და აი, მოხდა სასწაული! ახლახანს, 30 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სახლში ტელეფონით დამირეკა ქ-ნ ელენეს სახლ-მუზეუმის გვერდით მცხოვრებმა მარიამ მაყაშვილმა და მუზეუმში სასწრაფოდ მისვლა მთხოვა. უმალ მივირბინე და რას ვხედავ, ახვლედიანის სამი სურათი მაყაშვილების ოჯახშია. კვირა დღე იყო, მუზეუმი ისვენებდა. ქ-ნი მარიამი დერეფანს ალაგებდა და შენიშნა, რომ სახლ-მუზეუმის კართან ცელოფანში გახვეული რაღაც საგანია მიყუდებული. ამ დროს მას შემოესწრნენ პოლიციის მუშაკები, რომლებიც ყოველდღიურ სპეციალურ შემოვლას ატარებენ სახლ-მუზეუმის დასაცავად. ქ-ნმა მარიამმა მათთან ერთად გახსნა შეკვრა და დახეთ, სწორედ ეს სამი ცნობილი სურათი უცნობს ინკოგნიტოდ შემოეტანა. იმ საღამოსვე სასწრაფოდ შევიკრიბეთ სახლ-მუზეუმის თანამშრომლები და ვაცნობეთ პოლიციის განყოფილებას. შედგა სპეციალური ოქმები და აქტები. ჩვენ, სახლ-მუზეუმის თანამშრომლები აღტაცებულები ვართ ამ ფაქტით.

რამ გამოიწვია ამ სურათების ასეთი სახით დაბრუნება, ან ვინ არის მისი მომტანი, – ჩვენთვის გამოცანაა. ამ ბოლო დროს ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნევა ქ-ნ ელენეს სახელთან დაკავშირებით. მიდის ტელე და რადიო გადაცემები, ეწყობა მხატვრისადმი მიძღვნილი გამოფენები და მუსიკალური შეხვედრები. გაისად, 18 აპრილს ხომ მისი დაბადების 100 წლისთავია?! შესაძლოა, ყოველივე ამან კეთილი ზემოქმედება მოახდინა იმ პიროვნებაზე, ვისთანაც ამ ოთხი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ინახებოდა ხსენებული ნამუშევრები. ჩვენ, ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, იქნებ დანარჩენი ნამუშევრებიც ასე დაგვიბრუნდეს, – იმედს არ ვკარგავთ.

**ნაზი ელიაშვილი.**

**სურათებზე: მუზეუმისთვის დაბრუნებული სურათები.**





## კროსვორდი



თარაზულად: 3. ფრანგი კინომსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „მონპარნასი 19“. 6. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 13. კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული შეთანხმება. 16. მსახიობი, რომელიც დახელოვნებულია ზუსტ მიბაძვაში, მიმსგავსებაში და მისთ. 18. ქალაღდშემოკრული საფოსტო გზავნილი. 21. გავლენიანი პირის მიერ გაწეული დახმარება, მფარველობა ვისიმე პირადი საქმეების მოგვარებაში. 28. რისამე ელფერი, სულ მცირე განსხვავება რამეში. 31. რუმინეთის ფულის ერთეული.

შვეულად: 1. ამერიკელი კინომსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი – „ბეტმენი“. 2. ფილმის – „უკანასკნელი ტანგო პარიზში“ დამდგმელი იტალიელი კინორეჟისორი. 9. ფრანგი კინომსახიობი, მსოფლიო ეკრანის კინოკომიკოსი. 12. გრძელ დისტანციაზე მორბენალი, მოცურავე და სხვა. 14. სოფელი ამბროლაურის რაიონში. 17. ინდოელი კინორეჟისორი. 20. ქართველი მოქანდაკე. 21. წიგნის ან ხელნაწერის გვერდების ნუმერაცია.

რკალურად: 1. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი. 2. იტალიელი კინორეჟისორი. 4. ნორვეგიის დედაქალაქი. 5. წერილობითი თხოვნა, საჩივარი. 7. მწერალ ნ. დუმბაძის ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პერსონაჟი ქალის სახელი. 8. ჭრილობა. 10. ფილმ „მწვანე მოწმობის“ დამდგმელი ავსტრიელი კინორეჟისორი. 11. რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე, გადაღებული თვით მხატვრის მიერ გაკეთებული ფორმიდან. 13. ქალაქი სამხ. დას. თურქეთში. 15. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 18. სახელმწიფო სამხ. ამერიკაში. 19. ყვითელი ან წითელი ფერის ბუნებრივი მინერალური საღებავი. 22. ჭაობის მცენარე. 23. ოპერა „საფოს“ ავტორი, ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი. 24. საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც გარს უვლიან ეკლესიას. 25. სამხედრო კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის. 26. ზებუნებრივი ძალების რწმენა. 27. იაპონური ფულის ერთეული. 29. მადა, სურვილი, ნდომა. 30. საკრავის ან ხმის ჟღერადობის ელფერი.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 30 ნოემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. სანაცია, 7. კონსტატაცია. 10. დასტა. 11. კანოე. 16. კაკაო. 17. ქანდარა. 18. სტეპი. 19. კარიატიდი. 20. მელომანია. 22. ნიავი. 23. ალიანსი. 24. ფანტი. 27. ალალი. 28. სტეკა. 31. პრეზენტაცია. 32. პროლოგი.

შვეულად: 1. „დაისი“. 2. სარაბანდა. 3. გირაო. 5. პონტი. 6. ხიბაი. 8. სარაჯიშვილი. 9. კონტრამარკა. 12. მარადია. 13. მანდალი. 14. ორფეესი. 15. სპრინტი. 21. კარდინალე. 25. კლერი. 26. ატრია. 29. ბზარი. 30. ტანგო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი შპს „პრესის“
კომპიუტერული ცენტრი იწვევს სამუშაოდ
მაღალი კვალიფიკაციის მბეჭდავ-ოპერატორს.
ტელ: 99-06-88.

## ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ სთავაზობს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“,
„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“
და „საქართველოს კონსტიტუციის“

ბოლო, ოფიციალურ გამოცემებს ყველაზე იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში.

გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დიდი რაოდენობით შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

**მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული.**
**ტელეფონი: 93-26-99.**

ძმები ანდრო, დათო ბეროშვილები, ბებია ლამარა კულულაშვილი, მამიდა ნანა ბეროშვილი, მამიდაშვილი ვახტანგ მუჯირიშვილი, დეიდები თამრიკო, ნანა ჯიბლაძეები, ბიძები თამაზ მუჯირიშვილი, მერაბ ბალანჩივაძე, ელიზბარ უბილავა ოჯახებით, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ლაშა ილიას ძე ბეროშვილი

პანაშვიდი 7, 8 XII, 3 ს. გამოსვენება 9 XII, 2 ს. ცოტნე დადიანის ქ. მე-2 მ/ნი, 2 კორპ. I სად. (მეტრო „ნაძალადევთან“).

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტის 1963 წლის მე-9 და მე-10 ჯგუფების კურსდამთავრებულები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

რობერტ (ბიჭიკო) ჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.